წელიწადი 1911 პირველი

ორშაბათი, 21 ნოემბერი № 46

თემი

ფასი გაზეთისა წლიურათ—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 3 თვით—1 მან. 1 თვით 35 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ორშაბათი, 21 ნოემბერი № 46

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპოდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდგან 12 საათამდის რედაქციაში (Дворцовая ул. д. Д САРАДЖЕВА №6.) ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

გაზეთი

„თემი“

1911 წლის დამლევამდის ღირს

1 მანეთი

რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая, ц. насл. Д. З. Сараджева, 6.
რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე.

ახალი კლუბი

სამშაბათს, 22 ნოემბერს

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

ქართულ თეატრის სცენაზე:

I.

„დემონი“

ოპერა რუბინშტეინისა (მე-2-რე აქტი).

II.

წერილის სცენა

ოპერა „ევგენ ონეგინიდან“ ქ-ნთ მ. გ. მინკევიჩის, ს. მ. მიხაილოვის და ბ.ბ. არტისტების ვანო სარაჯიშვილის, კ. ცხომელიძის და საბინის მონაწილეობით. დასაწყისი საღ. 9 ს. დაწვრილებით პროგრამებში. წარმოდგენის შემდეგ ლოტო. დაუკრავს 30 კაცისაგან შემდგარი ორკესტრი ს. ი. პრესმანის ლოტბარობით.
ქანდარაზე ვისაც სურს შესვლა, კლუბში შესასვლელ ფულს არ იხდის. ადგილების ფასი: ქანდარაზე: 40 კაპ.—10 კაპ.-მდე; თეატრში: 1 მ.—20 კაპ.-იდე. სტუმრებმა უნდა გადაიხადონ: მამაკაცებმა—1 მ. მანდილოსნებმა—50 კ. სტუდ.—50 კ.
ანონსი: ორშაბათს, 28 ნოემბერს ქართულად „სევილიელი დალაქი“, ოპერა როსსინისა.

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

Адресъ телеграммъ: Sanitas

Адресъ телеграммъ: Санитасъ Тифлисъ

უპირატესობა

ფეხ-საცმელზე!..

ღირსია ყურადღებისა ფერადი ფეხ-საცმელის ძირისათვის

რიპოლინი Дм.

ფეხ-საცმელის ძირი, 2—3 ჯერ შეღებილი რიპოლინით Дм. არ უშვებს ნოტიოს და შესამჩნევად მაგრდება.

თამბაქოს მომწევთა საყურადღებოდ!!.

ნ. ი. ბოზარჯიანცის და შვილების სავაჭრო

სახლის თამბაქოს ფაბრიკამ თბილისში გამოუშვა

ამ დღეებში ახალი ჯიშის თამბაქო სახელად

„ფლორა“

მეტად კარგად არჩეულ ფურცლებიდან.

საუცხოვო სუნნელება და სამაგალითო გემო! არავითარი სიმწარე.

გირვანქა მარტო 1 მან. 60 კაპ.

იყიდება ყველგან.

რ. ა. პორტუგალოვისა

აუწყებს პატივცემულ მუშტრებს, რომ მის გამგებლობაში მყოფ საფაბრიკო მაღაზიაში—ნიკოლოზის ხიდი №№ 23 და 24—მიღებულია დამდეგ სეზონისათვის უკანასკნელ მოდის სხვა და სხვა დიდძალი კაბები მამაკაცებისა, მანდილოსნებისა და ბავშვებისათვის წარსულ სეზონის დარჩენილი სავაჭრო მეფაბრიკეების განკარგულებით იყიდება საფაბრიკო ფასებზე 30%-ით ნაკლებად. ამაში გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ.

პატივისცემით რ. ა. პორტუგალოვისა.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის

ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12½-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.
გ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.
ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირისგარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.
მ. ნ. მელიქიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა 1—2 ქირურგ. და ქალებ. სნეულ.
შ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე, 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ.
ვ. ვ. სოგოლევსკი—ყოვ. დღე, კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევა; აგრეთ. ყვავილ. აცრა და ძიძების გასინჯვა.
ფასი რჩევისათვის 50 კ. ოპერაციები და განსაკუთრებ. მკურნალობა შეთანხმებით.

წამლობა „606“-ითაც.

პირველხარისხოვანი რესტორანი

„ანონა“ „არტისტულ საზოგადოების“ შენობა.

პატრონი—იაკ. ტ. ბონდარენკო.

ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 5 საათამდე და საღამოს 10 ს. ნაშუაღამევის 2 საათამდე

უკრავს

იტალიური სიმებიანი ორკესტრი. მონაწილეობას ღებულობენ მომღერალი—ქალები—ქ.-ნნი საკო და მარიამ ოლანდეზე, ბარიტონი—ჯელლარო ოლანდეზე,

საკკოს ლოტბარობით

საუზმეები დილის 11 საათ.—1 საათ.—80 კ. 2-ფერისა — 60 კაპეიკი. 3-ფერისა — 90 კაპეიკი.
სადილები 1 საათიდან—საღამოს 5 საათამდე: 4-ფერისა — 1 მ. 20 კაპეიკი.
საჭმელები ევროპიული და აზიური. ბილიარდი. არის აგრეთვე ცალკე კაბინეთები.

პირველ ხარისხოვანი სასტუმრო

„ვეტცელი“

ნომრები 1 მ.—7 მანეთამდე, ელექტრონის განათება, ორთქლით გათბობა, (ნომრებს უფასოდ ათბობენ), ასასვლელი მანქანა „ლიფტი“, ვანები, „დუში“. მოსვლისთანავე მგზავრებს შეუძლიანთ ერთხელ ისარგებლონ ვანით უფასოდ.

პირველ-ხარისხოვანი რესტორანი.

ევროპიული და აზიური საჭმელები. ცალკე კაბინეთები, პიანინო, პოლიფონი, ქორწილებისა, სადილებისა და პიკნიკებისათვის ცალკე დარბაზი. ბილიარდები და კეგელ-ბანი. სასტუმროში არის ცალკე სამკითხველო და სასტუმრო დარბაზი.

სადილები არჩევით, ქარტით:
2—ფერისა — 60 კაპ.
3—ფერისა — 75 კაპ.
4 ფერისა — 1 მანეთი.

პატრონი ნოე სიხარულიძე.

თბილისი, 21 ნოემბერი.

არის ერთი საგანი, რომელიც ხშირად დიდ კამათს იწვევს ხოლმე ჩვენი განათლებული საზოგადოების სხვადასხვა წრეებში.

იგი შეეხება ქართველების მიერ რუსულ ენაზე გაზეთების გამოცემას. ჩვენი საზოგადოება იყოფა ორ ნაწილად. ერთი ნაწილი სრულებით უარჰყოფს რუსულ გაზეთის მნიშვნელობას ქართველებისათვის, მეორე—რუსულ გაზეთს საჭიროდ სთვლის. ამ საგანზე ხშირად ისტამბებოდა წერილები „სახალხო გაზეთში“. სხვათა შორის, მის შესახებ საინტერესო და საყურადღებო წერილები დასტამბული აქვს ამ გაზეთში ა. არჩილ ჯორჯაძეს. ამ პუბლიცისტმა ერთი მნიშვნელოვანი წერილიც უძღვნა ამ საგანს, რომელიც დასტამბულია მისი თხზულების ამას წინად გამოსულ ერთ-ერთ კრებულში.

ამისდა მიუხედავად საგანი მაინც გამოურკვეველია. ამიტომ უადგილოდ არ დავინახეთ ჩვენი აზრიც გავეზიარებინა მკითხველ საზოგადოებისათვის. საქართველოში ამ ჟამად რამდენიმე გაზეთი გამოდის რუსულ ენაზე, რომელნიც ქართველების ხელში არიან. ეს ისეთი თვალსაჩინო მოვლენაა, რომ ჩვენი საზოგადო ცხოვრების მეთვალყურე მას გვერდით გულ-გრილად ვერ აუვლის.

საჭიროა სრულებით აუღელვებლივ გამოვარკვიოთ საგანი.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ზოგიერთი ჩვენი ულტრა-პატრიოტი ამას ეძახის „სამშობლოსადმი ღალატს“ და სხვა ამისთანა სიტყვებით ახასიათებს იმ ქართველების საქციელს, რომელნიც იწყობენ რუსულ გაზეთის გამოცემას და მით ხელს უწყობენ ქართველების გადაგვარებასო. სწორედ ამნაირივე აზრი გამოითქვა ამ რამდენიმე თვის წინად ერთ-ერთ სომხურ გაზეთში, თუ არა ვცდებით „მშაკში“. ასე რომ სომხის და ქართველ საზოგადოების ზოგიერთი წრეები ამ საკითხში მოზიარენი არიან. ამიტომ ამ წერილში ჩვენი ნათქვამი შეეხება არა მარტო ამ ორ ერს, არამედ აგრეთვე დანარჩენ კავკასიაში მოსახლე ერებსაც.

ამ საკითხის შესახებ სჯა-ბაასში ერთი გაუგებრობა შევნიშნეთ. ბევრს ჰგონია, რომ თუ ქართველი ან სომეხი რუსული გაზეთის გამოცემას ხელს ჰკიდებს, იგი თავის ერის გადაგვარებას ემსახურება. ეს გაუგებრობის შედეგია. თვით საზოგადოებაში რომ არ იყოს მოთხოვნილება რუსულ გაზეთის გამოცემის საჭიროებისა, მაშინ არც არავინ მიჰმართავდა ამ საქმეს. მოთხოვნილება არსებობს და მისი დამაკმაყოფილებელი საშუალებაც ჩნდება. ვინ იქნება ამ საშუალების ხელში მჭერელი, სჯა-ბაასის საგნისათვის, რასაკვირველია, ეს სულ ერთია. საქმე ის არის, სჩანს თვით ჩვენი საზოგადოება ისეა აზრდილი, ისეა მოწყობილი, რომ იგი უსათუოდ საჭიროებს რუსულ გაზეთის კითხვას.

რაა ახლა გასაკვირველი, რომ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოვიდენ თვით ჩვენი მოღვაწეები, რომელნიც მოხელეობას საზოგადოების სამსახურს არჩევენ?!.

ხშირად გვითითებენ პოლონეთის და ფინლანდიის მაგალითზე, მაგრამ იმას ივიწყებენ, რომ იქაური და ჩვენი საზოგადოება ერთი და იგივე ელფერისა არ არის. იქ არსებობს მძლავრი კულტურა, რომელიც თუ არ აჭარბებს სიძლიერეში რუსეთისას, ჩამოვარდნით ხომ არასფერში ჩამოუვარდება.

მაშასადამე, უპირველესი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული თვით საზოგადოებაზე. უნდა გამოირკვეს რა მიზეზებია ის მიზეზები, რომელიც აიძულებს ქართველს, თუ სომეხს, თუ სხვა ერის შვილს კავკასიაში რუსული გაზეთი წაიკითხოს.

როდესაც ეს მიზეზები გამოირკვევა, მაშინ, რასაკვირველია, თვით მალამოც გამოიძებნება.

ჩვენის აზრით უმთავრესი საშუალება არის ქართულ გაზეთების შინაარსის გაუმჯობესება. სანამ ამას არ შეიგნებენ თვით გაზეთის საქმის მესვეურნი, იმ დრომდე ყოველთვის მეტი გასავალი ექნება ქართველებში რუსულ გაზეთს.

აგრეთვე ყოველთვის, სადაც ჩნდება რუსული გაზეთი, იქ უსათუოდ უნდა გაჩნდეს ქართულიც, სომხური ან სხვა ერის გაზეთი, რომ ამით გამოირკვეს, აქვს გასავალი საზოგადოებაში ადგილობრივ ენაზე გამოცემულ გაზეთს თუ არა?

ერთმა ამისთანა მაგალითმა უკვე დაგვიმტკიცა, რომ ეს საშუალება უებარია. ჩვენ ვგულისხმობთ ქუთაისის მაგალითს. იქ გამოდიოდა რუსული გაზეთი. რა წამს ამ გაზეთის გამოცემა განაახლეს, მაშინვე გამოსცეს ქართული გაზეთი „კოლხიდა“, რომელმაც ბევრი მკითხველი ჩამოაშორა რუსულ გაზეთს: ასე რომ მალე რუსული გაზეთის გამოცემა სრულებით უნდა შეწყვეტილიყო. მერე ისე წავიდა საქმე, რომ ქუთაისის საზოგადოება არც ამ ერთი გაზეთით დაკმაყოფილდა და მეორე გაზეთი „მნათობიც“ დაიარსა.

ამგვარად მშვიდობიანმა კულტურულმა ბრძოლამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. თორემ მუდამ ყვირილი „ღალატზე“ და ერთი ორონტრიალის ატეხა ჩვეულებრივად მარტო იმის მომასწავებელი იქნება, რომ „მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს“.

მხოლოდ ამ კულტურულ ქიშპობა-კონკურენციას შეუძლია განაძლიეროს ჩვენში ეროვნული კულტურა. უნდა მიექცეს დიდი ყურადღება ეგრედ წოდებულ გაზეთის „ინფორმაციას“, ე. ი. საჭირო ახალ-ახალ ცნობების მოწოდებას, დეპეშების რიგიანად თარგმნას და სხვ. ერთი სიტყვით ქართულს თუ სხვა ერის გაზეთს სათავეში უნდა უდგეს ლიტერატურულის მხრით მომზადებული კაცი, რომელიც გაზეთს ისე კი არ უნდა უყურებდეს, როგორც სხვადასხვა ულაზათოდ დაწერილ წერილების კრებულს, არამედ როგორც ლიტერატული სახის გამოცემას. აი მხოლოდ მაშინ შესაძლებელი იქნება ითქვას, რომ ჩვენც ვემსახურებით კულტურის განმტკიცებას ჩვენში. უნდა მოისპოს ის უცნაური „ოპეკა“, რომელიც ახლა სუფევს ჩვენს რედაქციებში. გაზეთში უნდა მოთავსდეს გამოცემის მიმართულების მიხედვით ყველაფერი, რაც აინტერესებს საშუალო მკითხველს. იმის თქმა არ შეიძლება, რომ, რაც საინტერესოა ევროპიელ საშუალო მკითხველისათვის, იგივე არ იქნებაო საინტერესო ქართველ საშუალო მკითხველისათვის. ეს ერთგვარი „მზრუნველობა“ მავნებელია ჩვენი საზოგადოებისათვის. ჩვენი გაზეთი შეძლების დაგვარად იგივე შინაარსისა უნდა იყვეს, როგორიც არიან განათლებული ქვეყნების გამოცემანი.

აი მაშინ შეიძლება უშიშრად ვიმყოფებოდეთ. თორემ ახლა რუსული უბრალო ბაზრული ფურცლის დაარსებაც კი გვაშინებს..

როდესაც ადგილობრივ ენაზე გამოცემული გაზეთი მიაწვდის ადგილობრივ მკითხველს ყველაფერს, რაც მას აინტერესებს, რასაკვირველია, იგი არ მიჰმართავს სხვა ენაზე დასტამბულ გაზეთის კითხვას.

ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მარა რასა იქმთ, როდესაც ესეც აქამდინ „ვერ შეგვიგნია“.

გაზეთი სხვა „კარ ჩაკეტილი“ საქმე ხომ არ არის, რომ იგი გახდეს ქურუმების სამყოფელად. იგი არის საზოგადო ადგილი, სადაც ყველამ უნდა „სული მოითქვას“...

ახლა, განვიხილოთ ის საკითხი, საჭიროა თუ არა ერთი რუსული გაზეთი მაინც ადგილობრივ საზოგადოებისათვის?

ჩვენის აზრით, უეჭველად საჭიროა ორი რუსული გაზეთი გვექნეს ჩვენ კავკასიის ერებს: ერთი აქ, საქართველოსა და მთლად კავკასიის დედაქალაქ თბილისში, მეორე პეტერბურგში. ყველაზე ადრე პირველი უნდა განხორციელდეს. მეორე გაზეთის მაგიერობა შეიძლება გაგვიწიოს პეტერბურგის ან მოსკოვის ერთ-ერთმა დიდმა გაზეთმა, რომელიც კვირაში ერთხელ ერთს განყოფილებას მაინც დაგვითმობს ჩვენი საჭიროების შესახებ ცნობების გამოსაქვეყნებლად.

ახალი გაზეთის დაარსება თბილისში ან არსებულის გადაკეთება ჩვენ მიერ გამოთქმულის აზრით ამ ჟამად უსათუოდ არის საჭირო. ეს საგანი საჭირ-ბოროტოა და წამოყენებულია თვით ცხოვრებისაგან.

კავკასიაში მოსახლე ერებს უნდა ჰქონდეთ ერთი ორგანო იმისთანა ენაზე, რომელიც მათ ესმით. ამისთანა ენა არის ამ ჟამად რუსული. ეს ორგანო უნდა ემსახურებოდეს კავკასიის **საზოგადოებრივ აზრის** შექმნას. ეს აზრი განამტკიცებს აქაურ ერების სოლიდარობის და ერთობის საქმეს. იგივე აზრი შესაფერ გავლენას იქონიებს თვით მთავრობაზედაც, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით... ამ ორგანოში სრულებით არ უნდა ჩაისახოს ისეთი რამ, რომელიც განცალკევებას მოასწავებს ერთა შორის. ისინი, ვინც შეიკრიბებიან ამ ორგანოს გარშემო, იმათ უნდა წინდაწინვე მოიფიქრონ თუ რა საშუალებით შეიძლება მოისპოს კავკასიის ერთა შორის რაიმე არსებული უკმაყოფილება და გაუგებრობა. ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ ამ ერთა შორის ყოველთვის შეიძლება დამყარდეს მშვიდობიანი მუშაობა და ურთიერთობა, უკეთუ განმტკიცდება მათ შორის **ნდობა** ურთიერთისადმი. უნდობლობამ გააფუჭა ჩვენში ყოველისფერი. და ამას უნდა ებრძოლოს აღნიშნული გაზეთი. რუსული გაზეთი მარტო ერთი რომელიმე ერის ინტერესების და საჭიროების გამომსახველი კი არ უნდა იყვეს, რადგანაც მაშინ იგი სრულებით მავნებელი შეიქნება. ჯერ-ერთი, რომ ამნაირად იგი უფრო გაარღმავებს უკმაყოფილებას და უნდობლობას მოქიშპე ერთა შორის და მეორედ, იგი გადაგვარებას უფრო შეუწყობს ხელს, რადგანაც სჯა-ბაასს გამართავს მარტო ამ ერის ინტერესების შესახებ მისთვის სულ სხვა, უცხო ენაზე და მიიზიდავს მარტო ამ ერის ყურადღებას ამ გაზეთს მარტო ამ ერის შვილნი წაიკითხავენ და სხვები ხელსაც არ ახლებენ. მხოლოდ ის იქნება დარჩენილი კავკასიის საზოგადოებაში ხმად: „ესა და ეს გაზეთი ნაციონალისტურია და ემსახურება მარტო ამ ერის ინტერესებსაო“. მერე, ბევრი ისეთი ამბებია ადგილობრივ ერების ცხოვრებაში, რომლის შესახებ წერა სრულებით არ არის საჭირო და საინტერესო რუსულ გამოცემაში.

ამიტომ ჩვენის აზრით ჩვენმა დაუღალავმა ახალგაზრდა მოღვაწემ თავ. პავლე თუმანიშვილმა, რომელმაც ამგვარ ორგანოს დაარსების საკითხი აღძრა ჩვენის აზრით, ისევე უნდა განაახლოს მისგან დაწყებული თათბირი კავკასიის სხვადასხვა ერების მოღვაწეებთან ზემოდ აღნიშნული გაზეთის გამოცემის შესახებ. მხოლოდ ამისთანა გაზეთს ექნება ჩვენში მნიშვნელობა; დანარჩენებს კი მართლაც მავნებლობის მოტანის მეტი არა შეუძლიანთ-რა...

———

ჩვენ სიამოვნებით ვბეჭდავთ დღევანდელ ნომერში ამურის ოლქიდან ჩვენთან მოწერილ ამბავს. სხვადასხვა მიზეზების გამო იქიდგან გარდახვეწილ ქართველობას თავი მოუყრია ერთს ლეგალურ საზოგადოების ქვეშ, ვაჭრობა-მრეწველობისათვის მიუყვია ხელი. ამნაირად ქართველებს ამურის ოლქში გამოუჩენიათ ის თვისებები, რომელთაც აქ თავიანთ სამშობლო ქვეყანაში თითქოს მოკლებულნი არიან. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულადაა სჩანს ასე, თორემ ქართველობაში თანდათან იდგამს ფეხს ვაჭრობა-მრეწველობის საქმე. ხოლო ყველა ამას ჯერ-ჯერობით **მსხვილი** საქმის ხასიათი არა აქვს.

სასურველია სხვადასხვა ადგილას მოვაჭრე და მრეწველმა ქართველებმა ხშირად მოგვაწვდინონ თავიანთი საქმეების შესახებ ცნობები. თუ სადმე დიდი სამრეწველო საქმეები აქვთ დაწყებული, აგვიწერონ ისინი, ქარხნების და ფაბრიკების სურათები მოგვაწოდონ და მათი მუშაობის შესახებ მოგვწერონ. ჩვენი გაზეთის ფურცლებს დიდი სიამოვნებით დავუთმობთ. ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს ყველაფერი, რასაც აკეთებენ მისი თანამემამულენი რუსეთის იმპერიის, თუ სხვა რომელიმე ქვეყნის სხვადასხვა ადგილას. ამნაირად თანდათან შეუმჩნევლად გაიხმის უჩინარი ძაფები ყველა მხნე მომუშავე ქართველების შუა და დამყარდება სასურველი **კულტურული** სოლიდარობა და თანაგრძნობა, რადგანაც, რომელ კლასსაც, რომელ წრესაც უნდა ეკუთვნოდეს

ქართველი, მან ის არ უნდა დაივიწყოს არასოდეს, რომ ყველანი ჩვენ მოვალენი ვართ ვიშრომოთ და ვიზრუნოთ საერთო ეროვნულ კულტურისათვის, ურომლისოდ ჩვენი ერი აღიგვება დედამიწის ზურგიდან... ნურასოდეს ნუ დაგვავიწყდება, რომ ცხოვრება მეტად გართულდა და საორკეცო მხნეობის გამოჩენა გვმართებს ნამეტნავად, ახლა.

სიცოცხლის ეგზამენი.

ერთხელ ვერის სასაფლაოსკენ გავისეირნე. ნათელი დღე იყო ცხოველი მზე უხვად ჰფენდა თბილ სხივებს მკვდართა სავანეს, სადაც მწვანე ბუჩქებზე პაწია ბეღურები საამოდ ცქრიალებდნენ. აქა-იქ ახალგაზრდა მოწაფეები მოსჩანდნენ. ერთმანერთზე შორი-შორს სამარის ლოდებზე ისხდნენ და გაშლილი წიგნები ეჭირათ ხელში. ზოგი ხმა-მაღლა და ზოგიც თავისთვის, ჩუმად კითხულობდა. ერთი მათგანის სიახლოვეს ჩამოვჯექ ქვაზე. ლამაზი, თმა-ხუჭუჭა ახალგაზრდა იყო. წიგნს ხმა-მაღლა კითხულობდა. იმის ხმას, ამ ხმის კილოს დავუკვირდი. ეტყობოდა, რომ კითხვის დროს ყმაწვილის გული საქმეში არ გარეულა, თითქო გაჩუმებული იყო თავის საგულეში; მხოლოდ ცარიელი მშრალი გონება ვარჯიშობდა და ყმაწვილის მკაფიო ხმას უგემური კვალი დააჩნია. ეს ხმა ისეთივე უსიცოცხლო და ცივი იყო, როგორც ის სამარის ლოდი, რომელზედაც ახალგაზრდა მოწაფე იჯდა. აშკარა იყო, რომ ყმაწვილი გონებისათვის სავალდებულო და გრძნობისათვის არა საგულისხმიერო საგანს სწავლობდა. ჩემს თვალ-წინ ბუნების დამახინჯების სურათი გადაიშალა. სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ადამიანი ორად გაიყო, შუაზე გაიპო, გაცალმხრივდა, თავის ბუნების ცალ-კერძით ითვისებდა იმ ცოდნას, რომლის დანიშნულება—მთელი ადამიანის განათლებაა. იმის ხმას ნამდვილად ამიტომ დაეტყო სამარის კილო.

რაც უნდა სიცოცხლით სავსე იყოს ადამიანი, რაც უნდა მძლავრად სჩქეფდეს იმის სულსა და გულში ცხოვრების წყარო, იმის გული გონებას რომ მოაშორო, შუაზე რომ გააპოთ, ადამიანი, უეჭველად, მოკვდება.

,,გული ცნობა და გონება
ერთმანერთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, ისინი
წავლენ და მისკენ მიდიან''.

მოსწყვიტეთ გული გონებას და ორივე მკვდარი შეგრჩებათ ხელში.

ცოცხალი, ცხოვრების მანათობელი ცოდნა მხოლოდ ის არის, რომლის შეთვისებაში გული ურევია, რომელიც ამ გულს სწყურია. როცა გული არ გულობს, ცოდნა ულამპრო და უსინათლო ოჯახში შესულ სტუმარსა ჰგავს: იგი უეჭველად იბორძიკებს და იმ მასპინძელს, რომელსაც ადამიანის სული ჰქვია, თავის დღეში ვერ მიაგნებს.

მხოლოდ გულით გამთბარი გონების ნათელი მოძრაობა იკვლევს და ითვისებს ჭეშმარიტებას. უერთმანერთოდ არც ერთი —,,ჩალადა არა ღირს,
მისთვისვე შეგვიწონია''.

ცხადი იყო, რომ ყმაწვილი ეგზამენისათვის ემზადებოდა. ეგზამენი კი იმის გამოცდაა, თუ რამდენად მკვდარი და დღევანდელ წყობილებისათვის გამოსადეგია ადამიანი, ატესტატიც სწორედ იმიტომ ძალიან ჰგავს იმ დაბეჭდილ ,,დერბიან'' ქაღალდს, რომელსაც მიცვალებულს ადებენ შუბლზე, როცა სააქაოსკენ ისტუმრებენ.

ახალგაზრდა მოწაფემ უეცრად წიგნი მიწაზე დააგდო, ფეხზე წამოდგა, თავი მაღლა აიღო, ზეცას შეხედა და სიცოცხლით მჩქეფარე ხმით საყვარელ ლექსის ნაწყვეტი წარმოსთქვა.

უსულო ადამიანი რაღაც მოულოდნელი მანქანების ძალით თითქო მსწრაფლ გამთელდა და მკვდრეთით აღსდგა ჩემს თვალ-წინ. წიგნი მკვდართა ლოდებ'შუა ჩააგდო, ჩააბარა ,,მკვდრებს მათი მკვდარი დასამარხავად" და სიცოცხლის სალამს უძღვნიდა იმ ზეცას, რომელმაც ეს სიცოცხლე აჩუქა.

ლექსის ნაწყვეტი გონებითა და გულით შეთვისებული და ამიტომ ნამდვილი ცოდნა იყო. და ამ ცოდნამ სიცოცხლის მადლით მოსილ ბუნებას დაუბრუნა ბუნების შვილი, ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც ამ ერთი წუთის წინ მკვდრები თავისკენ ეპატიჟებოდნენ.

გულის სიღრმიდან აღმომჩქეფარე შაირით ყმაწვილმა თითქო აღტაცება შესძახა და ამცნო გარეშემო თავისუფლად გადაშლილ ბუნებას თბილად მოციმციმე მზის სხივებს, რომ იგი მათი ღვიძლი შვილია და მათსავით თავისუფლება სწყურია, სწყურია ის უდიდესი ცოდნა, რომელსაც მიაღწევს მხოლოდ გულისა და გონების შეერთებული ძლიერი წადილი, ის ცოდნა, რომელიც იმისმა მშობელმა ბუნებამ იცის, როცა თავის გულში თავის ღრმად ჩასახულ ძალთა თავისუფალი მოძრაობით ჰქმნის გარშემო ბრწყინვალედ გადაშლილ მსოფლიოს რთულ და დიად ცხოვრებას.

სიხარულით შევსცქეროდი მკვდრეთით ამდგარ ახალგაზრდას.

დეე მკვდრებმა მკვდრობის ეგზამენი ჩინებულად დაიჭირონ! ამ ყმაწვილმა კი ჩემს თვალ-წინ ბრწყინვალედ დაიჭირა სიცოცხლის ეგზამენი. ამას ნათლად ადასტურებდა იმისი დიადი ეგზამენატორი — შუქ-მფინარე მზე და ნაზის ღიმილით თავს ევლებოდა თვის ერთგულ მოწაფეს, ადასტურებდენ დამსწრე ასისტენტები, პაწია ბეღურები, რომელნიც წრფელის სიხარულით ცქრიალებდნენ გარშემო ამწვანებულ ბუჩქებზე...

ილია ნაკაშიძე.

ჩემი დღიურიდან

ერთხელ სთქვეს „რუსეთი ყოველგვარ შესაძლებელობის ქვეყანააო". ეს თქმულება სწორედ მართლდება აი რას მოგვითხრობს ერთ-ერთი მოსკოვის გაზეთი. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რა ამბავი დააყენა განათლების მინისტრმა კასომ როგორც უნივერსიტეტებს, ისე საზოგადოთ უმაღლესს სასწავლებლებს. სხვათა შორის, ვინც საუკეთესო პროფესორები იყვნენ, ყველას აიძულეს მიეტოვებინათ სამსახური მოსკოვის უნივერსიტეტში. გავიდენ, მაგ , პროფ. ევგ. ტრუბეცკოი, გ. შერშენევიჩი, ა. კიზევეტტერი და სხვ. ამათ დაიწყეს ლექციების კითხვა მოსკოვის ქალაქის **სახალხო** უნივერსიტეტში, რომელიც დაარსებულია ბ. შანიავსკის შემოწირული ფულით. აი ამ უნივერსიტეტში ამ პროფესორების ლექციების მოსასმენად დაიარებიან თურმე ახლა ზოგიერთი სტუდენტები **სახელმწიფო** უნივერსიტეტისა. კიდევ უკეთესი ამბავი. მოსკოვში არსებობს კერძო საქალებო უმაღლესი კურსები პროფ. ს. ა. ჩაპლიგინისა. ამ კურსებზედაც კითხულობენ ლექციებს დათხოვნილი საუკეთესო პროფესორები. უნივერსიტეტის სტუდენტ-კაცებს აღუძრავთ შუამდგომლობა, ჩვენც ნება დაგვრთეთ ვიაროთ ლექციებზე კურსისტ-ქალებთან ერთადო. ეს ნებართვა ჯერ მიუცია დირექტორ ა. ჩაპლიგინს, მერე კი რაღაცა მიზეზით უკანვე წაუღია.

აი რა ძლიერი სურვილი აქვს ახალგაზრდობას სწავლის შეძენისა, სახალხო განათლების ,,სახელ-მოხვეჭილი'' მესვეური კი განაგრძობს თავის უცნაურ პოლიტიკას და არ უსმენს მოწაფეთა ჩივილს და მუდარას. ამავე მინისტრს იქამდე ჰქონია ,,სასმენთა კარნი'' დახშული, რომ ამას წინად სინოდის ობერ-პროკურორთან ერთად მინისტრთა საბჭოში უარი განუცხადებია, ლეონ ტოლსტოის მამული „იასნაია პოლიანა" მთავრობამ არ უნდა შეიძინოსო, თორემ ხალხი სხვანაირად გაიგებს ამ განკარგულებასო. მინისტრთა საბჭოსაც ამის მიხედვით ეს საკითხი უკუუგდია. ამნაირად, უეჭველია, გარეშე ქვეყნის ვინმე თაყვანისმცემელი დიდებული ადამიანისა შეიძენს ამ მამულს... ასე კეთდება „ნაციონალური" საქმე რუსეთში „ნაციონალისტების" ბატონობის დროს!..

ძ.

სათათბიროში.

სათათბიროში იგივე **პრეზიდიუმი** ხელახლად აირჩიეს. თავმჯდომარედ არის იგივე როძიანკო. ოქტომბრისტები, ნაციონალისტები და უკიდურესი მემარჯვენენი შეკავშირდენ და ერთად მოქმედებენ. **მუშების დაზღვევის** კანონ-პროექტის განხილვაში ოქტომბრისტების მხარე ეჭირა მთავრობას. სამკურნალო კასაში ორი მეხუთედი უნდა შეიტანონ მეფაბრიკეებმა, სამი მეხუთედი კი მუშებმა. საქმის პატრონთ წარმომადგენლობა ექნებათ კასის მონაწილეთა კრებაში. მათვე ჩაჰბარდებათ კასის ქონების დაცვა. მუშების წამლობის მოვალეობა პატრონების მხრით უარყოფილია. კასის მონაწილეთა წრიდან გამოტოვებული არიან ის პირები, რომელნიც თავიანთ ნებით ისურვებენ მონაწილეობა მიიღონ კასაში.

სათათბირომ მიიღო მეორე **კანონ-პროექტი ფინლანდიის შესახებ**, რომლითაც რუსის მოქალაქენი უფლების მხრით უნდა შეუთანასწორდენ ფინლანდიელ მოქალაქეთა. ამით დაირღვა ფინლანდიის ავტონომია.

მთავარ-მინისტრმა ვ. კოკოვცევმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა **სიმშილობის** შესახებ. მთავარ-მინისტრი მეტად ნერვებიანი ორატორია. მან რამდენიმე უხერხული პასუხი გასცა თავის მოპირდაპირეებს, რომელნიც ადგილიდან უპასუხებდენ. მაგალითად, უცნაური იყო მისი ირონიული შენიშვნა: „რასაკვირველია ყველა გუბერნატორები „სტყუიან", და უტაქტო შენიშვნა: „სიმშილი ხანდისხან მარგებელი წამალიაო". მთავარ-მინისტრს სურვილი ჰქონდა ყველასათვის დაემტკიცებინა, ვითომც გაზეთების ცნობები სიმშილობის შესახებ გადაჭარბებულიაო. ერთი უადგილო მაგალითიც მოიყვანა: „ერთი ჩემი „ახლო ნაცნობიო" „ორენბურგიდან თავის კორესპონდენციებს სწერდა პეტერბურგშიო". მან არ დაასახელა არც ეს ჟურნალისტი, არც ის გაზეთი, რომელიც ამნაირ წერილებს სტამბავდა. მთავარ-მინისტრმა ბლომად მოიყვანა ციფრები თავის სიტყვაში და ნათლად მხოლოდ ის დაუმტკიცა ყველას, რომ სრული ზომები არ არის მიღებული სიმშილის მოსასპობად რუსეთში. იგი სრულებითაც არ შეეხებია კერძო თაოსნობის მნიშვნელობას ამისთანა საქმეში. სათათბიროს უმრავლესობას არც კი უნდოდა ახლავე შესდგომოდენ სიმშილის საკითხის განხილვას. მხოლოდ მემარცხენეთა დაჟინებამ აიძულა მსჯელობა დაეწყოთ.

1210 წელს გადაწერილი ქართული ლექსიკონი.

ეს ლექსიკონი მოთავსებულია საეკლესიო მუზეუმის დიდს ხელნაწერში — № 65.

მისი სათაური:

„წმიდისა კვირილე ალექსანდრიელისაჲ ლექსი მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყუათა განმარტებაჲ **ლიქსიკონი**".

მერე კიდევ:

„წმიდათა და ღუთივ სულიერთა წიგნთაგან ღმერთშემოსილთა მამათა მიერ გამოკრებული ებრაელთა ენისა სახელები რაოდენიმე თარგმანებაჲ **ლექსიკონი**".

ლექსიკონი მცირეა, მასში სულ განმარტებულია 216 სიტყვა.

ბელზებელი, ეშმაკი დედალი.

მამონა, სიმდიდრე უსამართლოდ მოგებული.

სიკლა, სასწორი.

კეფა, ლოდი და სხ.

სიტყვები ანბანის რიგზეა დალაგებული: აბელ. ადამ. ბართლომეოს. ბედსაიდა. ბარ იონა. ბეთბაგე. ბეთანიაჲ და სხვ.

თითქმის ყველა სიტყვა ამ ლექსიკონიდან საბას შეუტანია თავისს ლექსიკონში, თუმცა არ მოუხსენებია, საიდან ამოუღია.

არსებობა ლექსიკონისა 1210 წელს, თუ არა ამაზედაც ადრე (ამ წელს მხოლოდ გადაწერილია და არა შედგენილი), მჯევრმეტყველურად გვიმტკიცებს, თუ რა მსუბუქად სჯიდნენ ისინი, რომელნიც ჩვენს გაზეთებში ამტკიცებდნენ ,,ლექსიკონი" მერმინდელი მოგონილი სიტყვააო, წინად კი ,,სიტყვისკონა'' იხმარებოდაო!!

მ. ჯანაშვილი.

მ. მიხ. თამარაშვილის გვამის საქართველოში გადმოსვენების გამო.

მ. მიხეილ თამარაშვილის გვამის საქართველოში გადმოსვენების გამო არჩეულმა კომისიამ შემდეგი მოწოდება დაუგზავნა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს:

ორს ენკენისთვეს, იტალიის სოფელ სანტა-მარინელლას, ტრაგიკულად დაიღუპა ჩვენი თანამემამულე, ისტორიკოსი მღვდელი მიქელ თამარაშვილი. მთელი თავისი სიცოცხლე მამა თამარაშვილმა თავისს სამშობლო ქვეყანას შესწირა.

წვითა და დაგვით აღზრდილმა, მამა მიქელმა უარჰყო პირადი ბედნიერება და მხოლოდ მშობელ საქართველოს ბედითა და უბედობით ცოცხლობდა, ილხენდა მისის ლხენით და იტანჯებოდა მისის ტანჯვით. უცხო ქვეყანას გადახვეწილს ფიქრი და გონება, თვალი და პირი საქართველოსკენ ეჭირა და ოცნებობდა მოსწრებოდა იმ დროს, ოდეს საქართველო ძველებურად ფრთას გაშლიდა, წელში გასწორდებოდა და განათლებულ ერებთან ერთად იდგწვებაა საკაცობრიო კულტურულ სარბიელზე.

საფუძვლიან საფილოსოფოსო და საფილოლოგო მომზადების შემდეგ საუკუნო ქ. რომს, მაღალ სასწავლებელში, მამა მიქელ ხარბად დაეწაფა ისტორიულ საბუთს, რომლითაც სავსეა ვატიკანის და იტალიის ქალაქთა არქივნი და ბიბლიოთეკანი. სამაგალითო შრომამ და კვლევა-ძიებამ ენერგიით სავსესა და დიდის იდეით გატაცებულ ისტორიკოსისამ მალე მშვენიერი ნაყოფი გამოიღო. ამ საუკუნის პირველსავე ათს წელს მამა მიქელმა გამოაქვეყნა სამი დიდ-ტანიანი და ჯერ ჩვენთვის უცნობი საბუთებით სავსე წიგნი. ორია დაწერილი ქართულად, ხოლო ერთი ფრანგულად. ამ ისტორიულმა წიგნებმა დიდი სახელი მოუხვეჭა მამა თამარაშვილს და ნათლად დაგვანახვა როგორც ჩვენ, აგრეთვე ევროპიელებს, თუ რა დვაწლი მიუძღვის პატარა საქართველოს ქრისტიანობის წინაშე და რა სამართლიანად ეკუთვნის ჩვენს სამშობლოს ქრისტეს ჯვრის მტვირთველის ერის სახელი.

და, დახეთ ბედის ცვალებადობას და სიმუხთლეს! ჩვენის სახელისა და დიდებისთვის თავდადებულის მოღვაწის, ჩვენის წარსულის მოსაძმლის, მამა თამარაშვილის გვამი აბარია უცხო ქვეყანას, შორეულს იტალიას, ტურფა და სტუმართ მოყვარეს, მაგრამ მაინც უცხოს! ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა ვერ მოისვენებს, ვიდრე სამშობლო მიწა არ ჩაიკრავს გულში თვის საუკეთესო შვილის გაცივებულს გვამს. ყოველი ქართველი ზნეობრივად ვალდებულია დააყაროს მამა მიქელს ის მიწა, რომელმაც დაჰბადა იგი, აღზარდა და დაავაჟკაცა სამოღვაწეოდ და სამოქმედოდ განსადიდებლად საქართველოს ერის სახელისა.

ამ აზრით განმსჭვალულმა ქართველმა ინტელიგენციამ განიზრახა გადმოასვენოს მამა მიქელ თამარაშვილის გვამი სამშობლო ქვეყანაში და მიაბაროს მიწას ქ. ტფილისში, ქართველ კათოლიკეთა ძველს სასაფლაოზე და აირჩია კომიტეტი, რომელსაც დაავალა განზრახული საქმის აღსრულება.

გაუწყებთ ამ ამბავს, მოწყალეო ხელმწიფევ, და გთხოვთ ხელი მოგვემართოთ განსვენებულის ისტორიკოსის თამარაშვილის გვამის გადმოსვენებაში იტალიიდან. შემოწირულება მიიღება მამა ლაზარე გოზალაშვილის სახელზე—ტფილისი, რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესია.

თავმჯდომარე კომიტეტისა მღვდელი მიხეილ ანტონაშვილი.

წევრნი კომიტეტისა:
თ. პ. ი. თუმანიშვილი.
თ. გრ. ნ. დიასამიძე.
თ. გ. დ. ვეზირიშვილი.
იაკობ პ. ისარლიშვილი.
გიორ. ზ. ისარლიშვილი.
მღ. ლ. გოზალაშვილი.
ალ. ივ. სარაჯიშვილი.
ვახტანგ დავ. ღამბაშიძე.
ალ. თევდ. ყიფშიძე.

დარწმუნებული ვართ ამ მოწოდებაზე პასუხს მალე გასცემენ მისი მიმღებნი და მით დააჩქარებენ ამ მნიშვნელოვან,- ღირსეული მამულიშვილის პატივისცემადდაწყებულ, საქმის დამთავრებას. **დ.**

ქართული გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფის გაბრიელ გამრეკელის სიტყვა—ნიკ. ცხვედაძის დაკრძალვის დროს წარმოთქმული.

პატივცემულო მოხუცო, დავჰყურებ შენს მიწყნარებულ სახეს და არ მინდა დავრწმუნდე, რომ ის ადამიანი, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენი სასწავლებლის ცხოვრების მაჯის ცემას, ის, რომელიც მუდამ მისი უანგარო, გვერდში მდგომი მუშაკი იყო, მის კეთილდღეობისათვის ფიქრობდა, მისი მოჭირნახულე—გაცივებული, წყნარი სახით ასვენია კუბოში და სამუდამოდ ეთხოვება ქართველობას. მშვიდო მოამაგევ, დარწმუნებული იყავი, რომ ეროვნული საჩუქარი, რომელიც შენ გადაეცი ქართველ საზოგადოებას—დაცულ იქნება. მკვდრად უნდა ჩაითვალოს ის ერი, რომელიც ვერ მოუვლის თავის საუნჯეს, თავის სიმდიდრეს. არ მინდა სასოწარკვეთილებას მივეცე, არ მინდა ვიფიქრო, რომ ოდესმე ამ დიდებულ ეროვნულ მეცნიერების ტაძარში ჩაჰქრება ანთებული ლამპარი, არ მინდა დავრწმუნდე, რომ ის, რასაც შენ მაგარი საძირკველი ჩაუყარე, ოდესმე დაინგრევა. დამშვიდებული იყავ, ჩვენო მოჭირნახულევ, რომ ქართველ ხალხს ჯერ ხავსი არ მოჰკიდებია. ნუ ჩაიყოლებ ფიქრს, რომ იქ როდისმე ჩაჰქრება ლამპარი განათლებისა და თუ შენ მოხუცს გრწამდა, რომ უბედურია ის ერი, რომელიც თავის კერას ცეცხლს გამოულევს, გრწამდეს ისიც, რომ ჩვენი ახალგაზრდობა შეინარჩუნებს ეროვნულ სულს, არ ჩააქრობს ქართველ ხალხში ლამპარს და არ გაცდის მას ბნელეთის მსხვერპლად. გრწამდეს,—ქართველობა ჯერ არ გამხდარა მტრის დავლად. როდესაც შევჰყურებ იმ დიდებულ შენობას, მრწამს, რომ არ გაჰქრება ქართველ ხალხში მარად ფხიზელი სული.

შენი უანგარო მოღვაწეობა მუდამ გვინათებდა ბნელით მოცულს ეკლიან გზას. შენ ყმაწვილური აღფრთოვანებით, საოცარის ხალისით გვიშენებდი მეცნიერების ტაძარს პატივცემულო მოხუცო, შენ ამხნევებდი მუშებს, წმინდა მოვალეობაზე

მგზავრი.

იქ, სადაც ციხეთ და კოშკთა ზვავებს
მთებზე დაუდგამთ მაღალი მთები,
სადაც მონასტერთ, შუა გაპობილთ,
გადმოუთხრიათ ძირს გუმბათები;
სად ორ ზღვის შუა მდევის ნამუხლარს
თავზე დასცქერის კავკასიონი,
მწუხრზე ბუტბუტებს ალაზან-მტკვარი
დილითა მღერის ცელქი რიონი;
შორით-შორიდან, უცხო, მოსული
მგზავრი წერაქვით კლდეს აღიოდა:
ფრთხებოდა ჯიხვი, ფრთხებოდა ფსიტი,
არწივი თავზე გადმოსწიოდა!
აჰა, კვლავ დაჰკრა მგზავრმა წერაქვი
და კლდემ გაალო, გაშალა გული,
შეჩერდა მგზავრი, კლდეს ჩააშტერდა,
გაოცებული, გაკვირვებული:
ქვა შეჭედილი, ქვა მოქარგული,
ზედ ჩუქურთმებით ნახატ-ნაწერი:
„აქ სცხოვრობს მთების ორბი, კანჯარი,—
„აქ სცხოვრობს გმირი ქართლისა ერი".
ეს წაიკითხა და გზას გაუდგა,
ტურფა კოლხიდა მთლად გადალახა,
მაგრამ ვერც მთაში და ველარც ბარში
კოლხიდის ერი ველარსად ნახა!

———

მგზავრო, გასწავლი მე მის სავანეს,
თუ მოისურვო, მალე წააწყდე:
დაჰყე კორდ-ბორცვებს, ატეხილს ჭალებს,
თვით შავი ზღვიდან გურგენის ზღვამდე:
ერთ დროს ამირან, გმირი ამირან,
აქ თურმე დიდხანს ებრძოდა მდევსა,
თავს იალბუზის წვერს უნარცხებდა,
ბარზე დაჩოქილს იმის მუხლებსა.
ეხლაცა ჰქვიან მდევის ნამუხლი
ორი ზღვის შუა დაცემულს თეფას,
და ამირანის ძაღლი მთებიდან,
თურმე იმ თეფას დღესაც უყეფავს!
სისხლის ტბა იდგა უწინ იმ ადგილს,
შეუწოვნია მიწას იგი დღეს,
იქ ეხლა ჰნახავ ტოტებ-გადაშლილს,
მუხას ბუმბერაზს, მუხას უხნიერს!
ხშირად იმის ქვეშ მუშა მაშვრალი
ნამგალსა ჰლესავს, ჩრდილში ისვენებს
და „მუმლი მუხას ეხვევა გარსო"
ის ნაღვლიანად ჩუმად ღიღინებს,
იმ თეფას დაჰკარ წერაქვის წვერი,
შემოგესმება ვაი და კვნესა,
„ჩემს ქვეშ სულსა ჰლევს კოლხიდის ერი"
ზედ აწერიათ იქ ბორკილებსა!
„მუმლი მუხასო"—ღიღინებს მუშა,
მუხა ტოტებს ჰშლის, მუხა ზვირთდება
და ამირანის ძაღლი მთებიდან
ბორკილის ხმაზე კვლავ იყეფება!

ი. ევდოშვილი.

ქ. ჩორნი იარ.
10 ოქტომბერი, 1911 წ.

მწუხრულ ჰანგზე.

(სილუეტები).

XI

Sursum Corda!..*)

სსს...ს სევდიანად სისინებს შემოდგომის ქარიშხალი, მწუხარედ უპარტყუნებს ფანჯარას ფრთებს და ხეების გამხმარ ტოტთა ჩონგურზე ამოკიდებს სევდის სიმღერას, თავის მუდამ ხეტიალზე, სევდის სიმღერას ნაღველში ნაქარგს, ნაღველში ნაქსოვს...

ტიკ.. ტიკ.. ტიკ... ეცემიან წვიმის წვეთები ფანჯრის მინას და რიტმიული ძიგძაგით განაგრძობენ ყოფნის ზღაპარის მბობას, რომლის დასაწყისი არავის ახსოვს და რომელიც არ დასრულდება არც ჟამის დასასრულში.

რისთვის არის, რომ მეც მინდა ვიმღერო? მე ხომ არას დროს არ მიმღერია, თუ ვიმღეროდი ხანდისხან ეს ჩემი ნაღველი იმღეროდა და არა მე, იმიტომ იყო სევდიანი ის სიმღერა.

რისთვის არის, რომ მეც მინდა ვიმღერო?..

ალბად სულს უნდა გააცილოს სიმღერით უკანასკნელი ფრთა ცხოვრებისა, უნდა გააცილოს სიმღერით ის დღეები, რომელნიც არას დროს არ დაბრუნდებიან.

იცით რას ნიშნავს—არას დროს არ დაბრუნდებიან?

როგორ დავიღალე, როგორ მე იმ დღეთაგან, და კიდევ რომ მწყურია კვლავ ის დღეები?!!..

— ქარიშხალო, შენ ვინც მოთქმით გაისტუმრე შემოდგომის ყვითელი ფოთლები.

— შენ ვინც ჰქირისუფალივით თავს დაღრიალებ გამხმარ ხეებს.

ჩემ სულსაც უმღერე სულთათანა, ჩემ სულსაც უმღერე „აწ განუსვენე" ჩემ სულსაც, რომელსაც არავინ არ მოიგონებს, რომელსაც არავინ არ გამოიტირებს...

* * *

სული გეძახის!.. არ გესმის, როგორ გეძახის სული სამარადისო ძახილით სული გეძახის... შენ, რომელსაც მე არ გიცნობ, მაგრამ ჩემთვის გამზადებულო.

მშვენიერო, მე მესიზმრება, მესიზმრება მშვენიერი ნაკვთები შენი სხეულისა და გული თრთის, სული ჰკრთება რიღაცის მოლოდინში. მე შენ დიდი ხანია გიცნობდი სადღაც; ოდესღაც ჩვენ ვიყავით ერთად, სად? მე არ მახსოვს, მაგრამ ეხლა ვერსად გპოვე. რად დაუტევე, რად ჩემ სულში ბინა?

შენ არა ხარ, შენ არ არსებობ, მაგრამ მე შენით ვცხოვრობ, მრწამს და არცა მწამს მჯერა და არც მჯერა, და მიყვარს ეს რომ არც მჯერა და კიდეც მჯერა.

სული ჰკრთება მოლოდინში, ვდნები და ვიწვი უნახავ ალით.

შენ უნდა იყვე, თუმცა არა ხარ, გესმის? გეძახის სული სამარადისო ძახილით. როგორც სარძლო საქორწილო სარეცელზე, ისე დაკიდებია ცას მთვარე, მკრთალი ვარსკვლავები კი ვერ უბედავენ მიკარებას, შორიდან იბნიდებიან. ჰუ, რა ცუდია ხანდისხან შიში. ჩემი საქორწილო სარეცელიც ცარიელია, მტირალი ძეწნის ტოტები დავტეხე, ფერ მიკრთალ ზამბახებით დავწანი ალერსის საწოლი.

მოდი, მოდი შენ გიხმობს სული შენ!..

ვნების ალში გამოგხვევ, ვნებას გაწოვებ ძველ ღვინოსავით ტკბილს, ველურ ექსტაზში დაგწვავ, მოგხიბლავ... ჩემ თმაში გამოგხვევ, ჩემ კოცნით დაგფარავ. ნუ იგვიანებ, სულო ჩემთვის გამზადებულო! .

განა ასე არ აფიცებდა მოსვლას ოდესღაც სოლომონი სულამითს შენთვისაც მზად არის ალერსის საწოლი.

ვნების ქურუმი სამსხვერპლოს წინ თრთის და კანკალებს.

რად იგვიანებ, რად არ მოხვალ სულო სულისა?.. განა არ გესმის სამარადისო ძახილი ჩემი?.. ოჰ ჩვენ ვიყავით სადღაც ერთად, როდის ან სად, მე არ მახსოვს, შემდეგ გეძიე, მაგრამ ვერ გიპოვე... ჩვენ ვიყავით სადღაც ერთად.

რუქაია, რუქაია, დამადე თავი კალთაზე ეხლა მე გეტყვი ზღაპარს:

...ღმერთსაც მოსწყინდა. მშვიდე დღეს ზამბახების სარეცელზე იწვა ადონაისი და მის სახეს კმაყოფილების ღიმილი არ ეკარებოდა. ძლიერი კვერთხის ერთი შეხებით შეიქმნენ ცა, ქვეყანა. მიწიდან გააჩინა ის ვისაც მისი მაგიერობა უნდა გაეწია ქვეყნად. ხედავდა ღმერთი, რომ რაღაც მოწყენილობა იყო გარშემო, სიხალისე აკლდა. მაგრამ ღმერთი, რის ღმერთი იყო, რომ რამე დაკლებოდა მის ქმნილებას. დიდებული ხუროთ-მოძღვარი შეინძრა ყვავილების სარეცელზე და სიმღერა დაიწყო. როცა ანგელოზები იმღეროდენ, მაშინაც სულს ნაბავდა ხოლმე ედემში ყველაფერი და ეხლა ხომ თვით ღმერთი მღეროდა. ეფრატის ტალღები მიდუნდენ. ტიგროსის ნაპირას გაიტმასნენ ლერწმები და ისმენდნენ სიმღერას. თითქო ცისა და მიწის შორის სიმები გაიბნენ ისმოდა სიმღერა... ცა და მიწა ერთმანეთთან შეერთების სურვილით აღტყინებულნი ისმენდენ იმ ხმას და ამ ხმაში, უფლის სიმღერაში დაისახა, განკაცდა, გამოინაკვთა ის, ვისაც შემდეგ ევა დაერქვა. რისხვის ღმერთმა, იეგოვამ, ვინც კანონად დაუდო კაცთ ნათესავს... კბილის წილ კბილი, თვალის წილ თვალი ჟამსა აღტყინებისას შეჰქმნა სიმღერით ქალი. და მიხვდა, რომ შეცდომა ჩაიდინა რომ თვით შეჰქმნა კერპი ადამიანისთვის, მაგრამ ძლიერ უნდა ჰყვარებოდა ის, ვინც მის სიმღერიდან დაიბადა, რომ მოესპო ადამმა კი დაიჯერა, როცა უთხრეს, რომ მის გვერდიდან გაჩნდა, იგი.

ბევრი დღეები წავიდენ მას შემდეგ, საუკუნენი საუკუნეთ მისდევდენ. ბევრი სიმღერა იმღერა ადამიანმა, ქალის მშვენიერებაზე, მაგრამ მიხვდა, რომ მისი სიმღერა ვერ დაატკბობდა მას, ვინც უფლის სიმღერიდან დაიბადა, ვისაც ჟამი საზღვარს იქით ესმოდა უკვდავი მელოდია შემოქმედისა.

ქალი —კიბეა ღვთაებისადმი.

...და იოანნე ღვთისმეტყველიც ლაპარაკობს: პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი უფლისი.

— ვინ იყო ის სიტყვა?

რუქაია, რუქაია — ვინ იყო ის სიტყვა?..

დევთა მრისხანე ლაშქარიდით ამართულან, შორს სამშობლო მთები. ოქროს გველივით ეტმასნება მათ თეთრ ქოჩორს მთვარის სხივთა მძივები. ცას უნდა დაკოცნოს მისი ქოჩორი, დაბლა იხრება და მეწამულში ხვევს მთებს...

— მკვლელო, შორეულო ისმინე, რაც გითხრას სულმა.

შენ არარა გესმის, შენ ყრუ ხარ.. ღმერთი იყავი და ცივ ქანდაკათ იქეცი, ღმერთი იყავი და კერპად იქეცი...

მაგრამ მე კუბო ვარ შენი ღვთაებრივობისა..

სსს... სისინებს ქარიშხალი და ველურ ჰანგზე გაჰკივის ველურ მელოდიას..

ტიკ.. ტიკ.. ტიკ.. ეცემიან ფანჯრის მინას წვიმის შხეფები. და რიტმიული ძიგძაგით განაგრძობენ ზღაპრის მბობას..

Sursum Corda... თითქო ისმის გარშემო, წვიმის შხეფები იმეორებენ.

Sursum Corda... ზე აქვთინ გულნი... ზრიალებენ შორს მონასტრის ზარები... და ღამის სიბნელეში ტყვიის ჯოჯოხეთს გააქვს ზანზარი..

ეს საშინელების სიმღერაა, იცით რა არის საშინელების სიმღერა? საფლავის მესაყვირე ამდგარა საფლავიდან და გაჰკივის ნაღარა „Sursum Corda...

ღამეა. მარტოობა დაიარება ოთახში, მარტოობა გაჯდომია მთელ სხეულს, მარტოობა ცივი, კაეშნის მომგვრელი და მარტოობაც მღერის დუმილში:

— ზე აქვთინ გულნი.. Sursum Corda...

სსს.ს... სისინებს ქარიშხალი და ველურ ჰანგზე გაჰკივის, ველურ მელოდიას... ტიკ.. ტიკ.. ტიკ.. ეცემიან ფანჯრის მინას წვიმის წვეთები და რიტმიული ძიგძაგით იმეორებენ იმ სიტყვებს, რომელიც მიწას აღმოხდა და ცამ გაიმეორა.. ბნელა.. შავი ღამე.. შემომცქერის თვალებში... ოთახში დადის მარტოობა, მარტოობა გაჯდომია მთელ სხეულს...

Sursum Corda... კედლებზე ჰინკებმა ამოყვეს თავები და ისინიც მღერიან ჰინკებიც მღერიან... და ოთახში დადის მარტოობა, რომელიც შეითქვა ღამის სიბნელესთან...

ტიტე ტაბიძე.

*) ლათინური სიტყვებია და ნიშნავს: „ზე აქვთინ გულნი", ე. ი. სული მოითქვით, გამხნევდითო. **რედ.**

18
ეროვნული ბიბლიოთეკა

წყევა.

Придетъ пора и на людей мой стихъ
Какъ громъ изъ тучъ проклятьемъ разразится!..
Байронъ.

არ მსურს დავმარხო ნანგრევთ შორის გამქრალ ზრახვათა
უკანასკნელი ამოკვნესა ობოლ სულისა,
არ მსურს ჩავფერფლო თაიგული ტკბილთა სწრაფვათა,
არ მსურს ჩავიკლა გულში ჰიმნი სიყვარულისა!
ვით დავედარო მთის ხრიოკზე გაშლილ ყვავილსა,
უნამოთ დამჭკნარს, უსიცოცხლოს სუნ-მიღებულსა?
ვით წარმეკვეთოს ხსნის იმედი საწუთროს შვილსა,
მეგობართაგან დავიწყებულს, დაობლებულსა?
დეე დამტოვონ, დამივიწყონ როგორც სიზმარი,
შუაღამის ჟამს წუთიერად მოზმანებული,—
მეც მივეფარვი მათ მიდამოს ვით უჩინარი
ღამის ჩვენება, შეუმჩნევლად მოვლინებული!..
შესხმის ღაღადი მათგან ბევრჯერ მომისმენია,
მეც გამიშლია წრფელი გული ნიშნად ნდობისა,
მაგრამ ღალატის მწარე გესლი არ ამცდენია,
არ ამცდენია მომწამვლელი შხამი გმობისა...
ქებას რას ვაქნევ ცბიერ გრძნობით გამოწვეულსა?
რად მინდა ფიცი რწმენის სხივებს მოკლებულისა?—
გზას ვერ შეუცვლის ტკბილი სიტყვა ღალატს ჩვეულსა,
ფიცი ფუჭია ანგარებით სავსე გულისა!..

— —

განშორებული სოფლის დრტვინვას, ამაოებას,
რლვევის დემონის საკურთხევლის წინაშე მდგარი,
ლოცვად აღვავლენ სულის ლტოლვათ უმანკოებას,
ტანჯვით ანაშფოთს ხელთ მიპყრია მრისხანე ქნარი.
წყევის ცეცხლს ვანთებ, ქარს ვუძახი ცის უფსკრულიდან!
ძრწოდეთ მცოცავნო ბიწიერნო! დადგება წამი
და თქვენის ისრით სისხლისაგან დაცლილ გულიდან
გადმოინთხევა ცეცხლის ქარად ცხოვრების შხამი!..
შავად შეჰსუდროს ცამ მნათობთა ლურჯი სავანე,
და მეხს გაყოიდესთ, ღრუბელთ შორის გამონაკრთომსა!
მქუხარ ღვართქაფად გაგეშალოსთ ზღვა-ოკეანე,
ღამის წყვდიადში ვერ ხედავდეთ ციურ მნათობსა!
ვეღარ იპოვოთ ტანჯვის ველზე თავ-შესაფარი,
უგზოთ ვიდოდეთ ცეცხლის ელვით დაბრმავებულნი,
სიკვდილის წამის მოსწრაფების ხმა შესაზარი
შორით გესმოდეთ, ქვითინებდეთ ატირებულნი!
ნგრევის ზუზუნით ახმაურდეს ირგვლივ ტყე-ველი
და ხმა ისმინოთ ქვესკნელისა, ხმა ამაზრზენი!
შველას ითხოვდეთ,—არ-და გიჩნდეთ არსით მშველელი,
მიწა გდევნიდეთ, ცა დაყრუვდეს—არ ესმას თქვენი!—

ს. აბაშელი.

მომაკვდავი არწივი

ფრთა მოეკრა მთის მწვერვალზე
ამაყს არწივს, დარჩა ობლად.
არვის უხმობს ცისკრის თვალზე
განთიადის შესამკობლად...
ბნელი ჰბურავს... სუსტი სხივი
ნისლმა შთანთქა განაცივი...

— —

შორს... შორს გაჰქრილს ქვეყნიდანა
გულღვიძლს უწვავს გრძნობა მწვავი.
სისხლი მოსჩქეფს მკერდიდანა
ჰკვნესის გმირი მომაკვდავი...
გარს არტყია ღრუბლის გროვა,
შვების ღვიმე ვერ იპოვა...

— —

ბუმბულს უწეწს ცივი ქარი,
თვალს უკორტნის ვაგლახ! სვავი.
ანადგურებს ნიაღვარი,
თავს ევლება ლანდი შავი...
ჰბოდავს... ჰბორგავს... ებრძვის სულსა
წამებისგან დატანჯულსა...

— —

ვერ გაჰფანტა ღამე ბნელი,
მიელია: ღონე, ძალი...
კუბოდ ექცა ლოდი სველი
დაეხუჭა ორივ თვალი...
ფრთა მოეჭრა... მოკვდა გმირი
ბედის ისრით განაგმირი...

კიკნა-ფშაველი.

უთიდებდი, აგრძნობინებდი მათ, რომ მაგარი ქვითკირით აეშენებინათ არა უბრალო სახლი, არამედ სინათლის მომფენი ტაძარი! რამდენი ურიგოდ ნათქვამი სიტყვა აგიტანია, რამდენჯერ შეჰხებიან შენს თავმოყვარეობას!.. ამის და მიუხედავათ შენ მაინც, გულმოდგინედ მოგყავდა სისრულეში შენი პატიოსნური გეგმა. ქალარა, ჩაფიქრებულ პირი-სახეზე გეტყობოდა, რა იმედით, რა მოწიწებით უშენებდი ქართველობას ამ შენობას.

სამწუხაროდ, ჩვენ, მოწაფეები არ გიცნობდით როგორც პედაგოგს, მაგრამ შენი სახელის პატივისცემით მოხსენება და მოგონება ნათლად მოწმობს, რომ შენ მათში კეთილ თესლს სთესავდი, ადამიანობისაკენ უთითებდი... სამწუხაროდ, შენ ნება არ მოგცეს გაგეგრძელებინა შენი შრომა, ჩაგენერგა მოსწავლეებში ის, რაც კარგ მასწავლებლისათვის, ყველაზე, ძვირფასია მხნეობა და საზოგადო საქმისადმი სიყვარული.. შენ კარგად იცოდი, რომ ,,ხმალი იმოდენას ვერას იქმს მრისხანე და ძლიერი, რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერი''. ძლიერი და მრისხანე ხმლის სამსახური აღარ იყო საჭირო, ამიტომ შენ მიაქციე განსაკუთრებული ყურადღება სახალხო განათლებას. შენ შეიქმენი ერთი უპირველესი დამაარსებელთაგანი ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებისა''. შენ მიერ აგებული ძეგლი [illegible]დამ მოაგონებს ქართველ კაცს შენს პატიოსან ქართველის, დაუფასებელ ღვაწლს. შენ კარგად გქონდა გათვალისწინებული, რომ ჩვენი სასწავლებელი უნდა ყოფილიყო იმნაირი, სადაც შენივე სიტყვით ,,ჩვენ, მოწაფეებს ისე უნდა გვეგრძნო თავი, როგორც მშობლიურ ოჯახში''. მოუთმენლად ველოდით და ვეკითხებოდით ერთი-ერთმანერთს: ,,როდის დაგვითავებენ სასწავლებელსო''? შენ კი გაბრწყინვებული სახით შენობის კედლეზე დადიოდი და იმედს გვაძლევდი, რომ ჩვენი ლოდინი კეთილად დამთავრდებოდა. შენმა ,,მრწამსმა'' აღაფრთოვანა მოწაფეების პაწია გული, როდესაც დიდებული სასახლე დაგვიმზადე. ეს იყო შენი ტკბილი ფიქრი, შენი აზრი, და ყველა განახორციელე. ქართველმა საზოგადოებამ, როგორც საჭირო იყო, თუ ისე მარჯვედ ვერ მოგცა ხელი, სამაგიეროდ მარტო შენ ერთმა დაგვანახვე ქართველი კაცის მხნეობას რა შეუძლია... შენმა სულისა და ხასიათის სიმტკიცემ ქართველი საზოგადოება გააოცა. შენ შენის მოქმედებით გააღვივე ღრმა სიყვარული და პატივისცემა შენდამი. სხივ-მფენელ კელაპტრად ენთები უპირველეს ყოვლისა მოწაფეთათვის და მერე საზოგადოებისათვის.

შენი სახე მუდამ იქნება იმ შუქ-მფენელ სვეტად, რომელიც აღთქმის ქვეყნისაკენ უთითებს ადამიანს.

დარწმუნებული იყავი, რომ
,,არ არის მკვდარი ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმული ვისაც აქ;
სახელი არ დარჩენია''!..

მშვიდობით, ქართველ მოწაფეების მოჭირნახულევ!

მშვიდობით უანგარო ადამიანო!..

ჩანჩქერთან

(ტეტმაერის ჰანგზე)

აი ეხლაც თავს დავყურებ ყრმობიდან ნაცნობ ჩანჩქერს...

ნაცნობი ხმა უკვე ექსოვება ჩემს დამწუხრებულ სულს..,

გული შეუპყრია გამოურკვეველ სევდას, სევდას, რომელსაც არ ძალუძს გამოთქმა... ხომ არსებობს ისეთი ჟამი, როდესაც თითონ არ იცი, რასა გრძნობ, წამი დუმილის, გამოუთქმელი, რომელსაც სევდა ჰქვიან!

იცვალენ დრონი, იცვალა ჟამი ჩემი უდარდელობისა—მაგრამ ყოველთვის ამ ჩანჩქერზე მყოფს ერთი და იგივე ფიქრი მიპყრობს... მაგონდება ბედნიერი წუთები განვლილ დღეთა, ყრმობის ჟამი, როდესაც მომავალი მომხიბლავ ფერადებათ მეჩვენებოდა.

წარვიდენ სიხარულის წუთები.. ჩემს სულში მყუდრო ბინა მოძებნა მწუხარებამ... გასრიალდა მრავალი წვეთი და დაქანებულ ფერდოებზე, ივლავ მისრიალებენ წუთები საზღვრისკენ-და მე, კვლავ, ჩვეულებრივი მწუხარებით დავყურებ ნაცნობ ჩანჩქერს...

ერთხმაზე დუდუნებს მონავარდე ჩანჩქერი.. და რამდენჯერ მოვიდოდი მის ნაპირს, თუნდა მხიარული, მაინც შემიპყრობდა ერთი და იგივე ფიქრი, ფიქრი ნაღველში გალესილი.

და განა ამ მომხიბლავ ჩანჩქერთან არასოდეს არ მექნება სხვა გრძნობა გარდა დაუსრულებელი სევდისა!?

სერ. კლდიაშვილი.

შემოდგომა

სურათი.

შემოდგომა მოგვივიდა,
ატალახდა ყველგან გზები,
მშრალი მიწა აღარსად სჩანს,
ჩამოთოვლა კიდეც მთები.
ცა ღრუბლებში გაეხვია
ბრწყინვალე მზეს ვეღარ ვხედავთ,
ცივი ქარი მოზუზუნებს,
გარეთ გასვლას ვეღარ ვბედავთ.
ტყემ ქათიბი გაიხადა,
ბულბულის ხმა აღარ ისმის,
ზოგი-ერთხელ ყვავი ჩხავის,
და მხოლოდ წვიმს...და მხოლოდ წვიმს.

ი. მჭედლიშვილი.

ქართული თეატრი

„გამცემი“—გედევანიშვილისა.

ბ. გედევანიშვილმა ქართველი საზოგადოება დააინტერესა. მის პიესების საყურებლად, როგორც ეტყობა, დიდი სიამოვნებით მოდის საზოგადოება და სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, რას შეხედოს და რა უნდა განიცადოს ადამიანმა.

ჯერ-ჯერობით პატივცემული ავტორის ორი ნიმუში გვაქვს გაცნობილი და ორივე დასრულებული მხატვრული ნაწარმოებია. რომელი სჯობია მათში, ძნელი სათქმელია: „მსხვერპლი“ თუ „გამცემი“. ორივე ნაწარმოებს, ასულდგმულებს, ერთი და იგივე სფერა ადამიანის სულის განცდისა. სინიდისი და გმირული თავგანწირვა. აი ლეიტმოტივი, რომელზედაც ხელოვნურად არის აშენებული ორივე პიესა. განსხვავებაა მხოლოდ მომქმედ პირებში. „მსხვერპლში“ ბრბოა, გაუთლელი, ბრბო ხელ-უხლებელი და მისი შვილი გაბო. „გამცემში“ კი—ინტელიგენტი შაქრო. ბევრისაგან გავიგონე, რომ „მსხვერპლი“ სჯობია „გამცემს“-ო. ეს არ არის მართალი, თუმცა პირველი შეხედვით სამართლიანია ასეთი სჯა. „მსხვერპლი“ სჯობია მხოლოდ ვითომ იმით, რომ იქ გაბოს გაუნათლებელი სული ადვილად სწყვეტს ყველაფერს, მაშინ კი, როდესაც შაქრო ყოყმანობს, იგი შებოჭილია ათასგვარი პირობებით, ათასგვარი წვრილი, მაგრამ პასუხსაგები დავალებით. და რასაკვირველია, გაბო უფრო ლამაზი იქნება. იგი თვითონ ხელუხლებელი ბუნებაა, გაუტეხელი სულით; და ჩვენის აზრით, მხოლოდ ამიტომ არის „მსხვერპლი“ უფრო ლამაზი. შაქრო კი სჯის, ფიქრობს და, ეს რასაკვირველია, უფრო მოსაწყენნია.

კვირას, 13 ნოემბერს წარმოდგენილმა „გამცემმა“ მსმენელ საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. პიესა მარტივად და ცოცხლად არის დაწერილი, თუ მხედველობაში პირველ და მეორე მოქმედების ზოგიერთ გაჭიანურებას არ მივიღებთ. არის ადგილები ნამდვილი მხატვრული სილამაზით მოსილი, მომენტები სულისა და გულის ამღრევი, ჩამაფიქრებელი. თავის ორი ნაწარმოებით ბ. გედევანიშვილმა დაგვიმტკიცა, რომ იგი უტყუარი ნიჭის პატრონია და ჩვენს დრამატიულ ლიტერატურაში საპატიო ადგილსაც დაიჭერს.

პიესის შინაარსი განმათავისუფლებელ მოძრაობიდან არის აღებული და მოკლედ შემდეგია: რევოლიუციის ერთ-ერთ მებრძოლთან შაქრო ჩვილიშვილთან მოდის მისი ამხანაგი სიკო და ატყობინებს ჯგუფის გადაწყვეტილებას თავადი არჩილის მოკვლის შესახებ. თავადი არჩილი თუმცა შავრაზმელია, მათი იდეიური მოწინააღმდეგე, და მასთანაც მხეცი, რომელმაც არა ერთი პატიოსანი მებრძოლი გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ სიკოსაც და შაქროსაც ორთავეს სწყინთ ეს გადაწყვეტილება. შაქროს ეს ამბავი ლახვარივით ეცემა გულზე, მას სძულს არჩილი, სძაგს, მაგრამ მან იცის, რომ მის მკვლელობას სოფლის დარბევა მოჰყვება და... მასთანაც შაქრო არჩილის ოჯახის ნაამაგარია არჩილის ოჯახი დაეხმარა მას, სწავლა დაასრულებინა და ეხლაც ეხმარება. შაქრო სთხოვს სიკოს, მოახერხოს და ჯგუფს თავისი გადაწყვეტილება გააბათილებინოს. სიკოც ჰპირდება და მიდის ამხანაგებთან სათხოვნელად. თუ სიკო მეორე დღეს 12 საათამდე არ დაბრუნდებოდა, იმ შემთხვევაში არჩილის სიკვდილი გადაწყვეტილად უნდა ჩათვლილიყო. შაქროც ელოდება, მაგრამ სიკო აღარ ბრუნდება. იგი დიდ სულიერ ტანჯვას განიცდის, მას არ უნდა არჩილის სიკვდილი, მაგრამ აბა რა ჰქნას, როგორ დაიხსნას. სწორედ ამ დროს ეწვევა სტუმრად თ. არჩილი. არჩილისაგან გაიგო სიკომ, რომ იგი სწორედ იმ დროს, როდესაც მკვლელობა უნდა მოხდეს, თავად-აზნაურთა კრებაზე უნდა წავიდეს, და რომ განსაცდელს აიცდინოს, შაქრო ეხვეწება სადამოს სახლში დარჩეს, რადგან შენთან უნდა მოვიდეო. არჩილი ძალიან ასიამოვნა შაქროს გადაწყვეტილებამ, მაგრამ კრებაზე მიუსვლელობა შეუძლებლად მიაჩნია და ამიტომ ძალა-უნებურად უნდა წავიდეს.

შაქრო მწარედ არის დაღონებული, მან არ იცის რა ხერხს მიჰმართოს, რომ არჩილი დაიხსნას, და ამ ფიქრში გადასწყვეტს თავის საცოლოს ნინოს, რომელიც არჩილისას სცხოვრობს, გაატანოს გაფრთხილების უსახელო ბარათი. ნინომ შეუმჩნევლად, როგორმე ხელში უნდა ჩაუგდოს ეს ბარათი არჩილს. მართლაც და არჩილი ნახავს მაგიდაზე ბარათს, მაგრამ ეს მას სიცილათაც არ ჰყოფნის, იგი ფიქრობს, რომ ვინმე ამხანაგთაგანი იხუმრებდა. მაგრამ ბარათი არჩილის დედას ჩაუვარდება ხელში, იგი გაფითრებული დაიბარებს ბოქაულს და ჩასაფრებულთა საძებნად გაგზავნის. მალე სოფელში გავარდა ხმა, რომ ორღობეში რამოდენიმე შეიარაღებული კაცი დაუჭერიათო. შაქრო რა გაიგებს ასეთ შედეგს თავის საქციელისას, სულიერ ტანჯვაში ჩავარდება. მას უკვე ეზიზღება თავისი თავი. თავის თავს იგი გამცემს უწოდებს. ამ დროს მისი ამხანაგებიც მოვლენ, და რა გაიგებენ მიზეზს ამხანაგების დაჭერისას, ავალებენ შაქროს იმართლოს თავი ამხანაგთა წინაშე. შაქრო პასუხად აღუთქვამს არჩილის მოკვლას და ისტუმრებს ამხანაგებს. მას წინ ეხლა ძნელი გადასაწყვეტი საკითხი უდგა—იგი ყოყმანობს და ამ ყოყმანის დროს არჩილიც შემოდის.

აი მის წინ არჩილი. მას ეხლა შეუძლია საწადელის ასრულება, მაგრამ შაქროს არ ძალუძს მისი მოკვლა. იგი მხოლოდ ზიზღს უცხადებს არჩილს და არჩევს თავის თავის მოკვლას. რად ვერ შესძლო მან არჩილის მოკვლა?

გაბატონებული ჯგუფი, რომელიც აქამდის მესვეური იყო ქართული ცხოვრებისა, დღესაც არ ჰკარგავს თავის ძალას და კიდევ უკარნახებს დაჩაგრულთ თავის სურვილებს, რომელთ წინ დაჩაგრულთ ხმა ვერ ალუმაღლებიათ.

ჩაგრულნი ისევ ჩაგრულნი არიან, მათ მონურ ფსიხოლოგიის შეცვლას ჯერ კიდევ ხანი უნდაო. შაქრო არჩილის ამაგით არის მოსყიდულიო—გვიპასუხებს ავტორი. ჩვენის აზრით, მეოთხე მოქმედება ცოტა ყალბ აზრზეა აშენებული. ავტორს რასაკვირველია, შეუძლია ჰქონდეს თავის აზრი, მაგრამ ჩვენის აზრით იგი შემცდარია. ჩვენი ინტელიგენცია, განსაკუთრებით ერთი ნაწილი, დიდი ხანია გამოვიდა ,,კეთილშობილთა'' ,,ოპეკიდან'' და თუ რამოდენიმე შაქროები კიდევ არიან—ეს გამონაკლისია.

საერთოდ პიესა საინტერესოა. ცოტა შესწორებას რომ არ დაიშურებდეს ავტორი, პიესა ბევრს მოიგებს.

ყაგიზმანის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი გრიგოლი ივანეს ძე ქიქოძე შვილებითურთ აუწერელ მწუხარებით აუწყებენ მშობელთა და ნაცნობებს უძვირფასეს მეუღლის

ნინა ივანეს ასულის **ქიქოძის**

გარდაცვალებას ქ. ყაგიზმანში (ყარსის ოლქი). განსვენებულის დაკრძალვა მოხდება ქალაქ ქუთაისში 23 ნოემბერს.

ჩვენი მსახიობნი, როგორც ეტყობა, პირნათლად მოეკიდნენ პიესას და კარგადაც შეასრულეს. ბ. მესხიშვილის შაქრო უფრო მთლიანი იქნებოდა, რომ მსახიობს როლი სცოდნოდა. დ. მგალობლიშვილი კარგი არჩილი იყო, მის თამაშს შრომა და ანალიზი ეტყობოდა. ქ. ქილარჯიშვილის კნეინას სიდინჯე და დარბაისლობა აკლდა. ესევე ითქმის ქ-ნ ბეჟანაშვილისაზე. მხიარული და დარდიმანდული კილო არ უხდება შაქროს დედას. გაბუტული ბავშვივით თავის ჩაღუნვით და არა ბუნებრივი წელში მოხრით ქ-ნი პიერეტტა ვერ შეჰქმნის დრამატიულ მომენტს. ვურჩევთ სხვა საშუალებას მიჰმართოს. ამირეჯიბის ქალი... მაგრამ ჯერ კიდევ ვნახოთ სხვა როლებში. ჯერ-ჯერობით კი ცუდი არა გვეთქმის რა. კარგები იყვნენ ზარდალიშვილი, ციციშვილი და მატარაძე.

გოლა.

ახალი ამბები.

◆ **სპარსეთს რუსეთმა ხელ-ახლა გაუგზავნა ულტიმატუმი შუსტერ-მორგანის გადაყენების შესახებ. მეჯლისმა უარჰყო რუსეთის მოთხოვნა. რუსეთის ჯარს ებრძანა თეირანისაკენ რეშტიდან წასვლა. მოსალოდნელია დიდად საყურადღებო ამბები. თეირანში უმაღლესი მთავრობის კაცები გადადგენ. ხალხი დემონსტრაციებს მართავს რუსების წინააღმდეგ.**

◆ **იტალია-ოსმალეთის ომის ველზე იტალიელებმა გაიმარჯვეს, რამდენიმე კილომეტრით წინ წაიწიეს.**

◆ **ჩინეთისკენ გაემგზავრა ევროპიდან ჩინელი გამოჩენილი რევოლიუციონერი სუნ-იატ-სენი. რევოლიუცია ძლიერდება. უცხო სახელმწიფოები ვერ ბედვენ რევოლიუციაში ჩარევას. მთავრობის ჯარებმა აიღეს ხანიანი, მაგრამ ამ ვითომ გამარჯვებას ყურადღების ღირსად არა სთვლიან საქმის მცოდნენი. ჰფიქრობენ, რომ ხანიანის დათმობა რევოლიუციონერების ხერხიაო. ნანკინი რევოლიუციონერებმა აიღეს.**

◆ **სათათბიროში უმრავლესობამ გადასწყვიტა დახურულ სხდომაში განიხილოს შეკითხვა სოციალდემოკრატებისა პეტერბურგის დამცველ განყოფილების უკანონო მოქმედების შესახებ, რომელიც გამოიხატა მეორე სათათბიროს სოციალდემოკრატ დეპუტატების წინააღმდეგ დაწყებულ საქმეში, ვითომც ისინი სამხედრო აჯანყებას აწყობდენ. ახლა პროვოკატორმა ბროდსკიმ განაცხადა, რომ ეს მისი და მთელი დამცველ განყოფილების განგებ შექმნილი საქმეაო. დახურულ სხდომაზე ამ შეკითხვის დადგენილების გამო ცხარე განცხადება წარმოსთქვეს დეპუტატებმა გეგეჭკორმა, მილიუკოვმა და ეფრემოვმა. ამის შემდეგ სხდომა დასტოვეს კადეტებმა, სოციალდემოკრატებმა და პროგრესისტებმა. თავის განცხადებას ეს დეპუტატები იმით ასაბუთებდენ, რომ სათათბიროს უმრავლესობას არა სურს ხალხმა შეიტყოს, რაში არის საქმეო. სათათბირომ შეკითხვა კომისიას გადასცა განსახილველად.**

◆ გუშინ კვირას გორს გაემგზავრენ ფრინველთა გამოფენის დასათვალიერებლად სენატორი ვატაცი, თბილისის გუბერნატორი ა. ჩერნიავსკი, სახელმწიფო ბანკის კანტორის გამგე დ. ბეზობრაზოვი და სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის განყოფილების გამგე ა. პავლოვი. გორიდან ისინი გაემგზავრებიან გომს იქაურ მემამულეთა ამხანაგობის საქმის გასაცნობად და შენობების დასათვალიერებლად. როგორც შევიტყეთ ამ გამგზავრებას კავშირი აქვს იმ შუამდგომლობასთან, რომელიც აღძრა ამ ამხანაგობამ ნივთიერ დახმარების შესახებ ამ მნიშვნელოვან საქმის გასაუმჯობესებლად. თუ ეს ასე იყო ჩვენ გაკვირვებული ვართ, რომ ამხანაგობის გამგეობამ დროზე არ შეატყობინა საქმის მცოდნე წევრებს სენატორ ვატაცის გომში მისვლისა და სურვილი ამხანაგობის საქმის გაცნობისა.

◆ დაბეჯითებით გადმოგვცემენ, რომ სახალხო განათლების სამინისტროს გადუწყვეტია თბილისში გახსნას ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტი. ამის შესახებ კიდეც შეუტანია მინისტრთა საბჭოში შესაფერი წინადადება.

◆ ახალქალაქის, ახალციხის, გორის, თელავის, დუშეთის, თბილისის და თიანეთის მაზრებში ქართულ სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა შეუდგეს სამეურნეო სტატისტიკურ ცნობების შეკრებას.

◆ ქ. ბლაგოვეშჩენსკიდან გვატყობინებენ, იქ ქართველი ახალშენი აპირებს საქველმოქმედო აზრით გამართონ ქართული საღამო. წარმოდგენილი იქნება ერთ-ერთი ქართული პიესა. ამისათვის რამდენიმე პიესა და ქართული ნოტებზე გადაღებული სიმღერები დაუბარებიათ. ამ საღამოს მოწყობას მოთავეობენ იქაური ქართველები ბ. ღლონტი, ძნელაძე და პატიეშვილი.

◆ ძმ. ზუბალაშვილები ხელ-ახლად დაუბრუნდენ ქველმოქმედებას. როგორც ახლა შეატყობინეს ქალაქის გამგეობას, იმათ იკისრეს საბავშვო სამკურნალოსათვის ყოველი მოწყობილობის შეძენა. ეს სამკურნალო ხომ თვით ბბ. ზუბალაშვილების ხარჯითაა აგებული.

◆ 1891 წელს განსვენებულმა გრიგოლ გურიელმა გადასცა ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს ფული, რომ მას გამოეცა ქართველ მაჰმადიანებში გასავრცელებლად თათრული ლოცვები ქართული ასოებით დაბეჭდილი. ეს წიგნაკი მთლად გასაღებულა. არც ერთი ცალი აღარ მოიპოვება. ნუთუ აღარ მოიძებნება გრიგოლ გურიელისთანა მამულიშვილი, რომ ხელ-ახლა დააბეჭდვინოს ეს თავის ხარჯზედ საჭირო წიგნაკი.

ბიბლიოგრაფია.

ცხოვრება საქართველოსი დიდი მოურავის ამბებით. გამოცემა ზ ჭიჭინაძისა. 1910 წ.

ამ წიგნში საქართველოს ცხოვრების ამბებს მოთხრობა იწყობა მე-15-ე საუკუნის დამდეგიდან. აღნიშნულნი არიან ქორონიკონები და მათ გვერდით ის შესანიშნი ამბები, რომელნიც მემატიანეს ღირს სახსოვრად დაუნახავს. ხოლო მოურავის ამბები მხოლოდ ამ წიგნის მე-28 გვერდზე შეგხვდებათ და დიდის ინტერესით მისდევთ იმ საშინელი ტრაგედიის მოქმედებებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ამ გამოჩენილ პირის ისტორიასთან. მოურავის თავგადასავალი, მოთხრობილი ამ წიგნში, მესამედ იბეჭდება: პირველად გამოსცა მ. ბროსსემ პარიჟში 1833 წ., მეორედ ამ გამოცემიდან გადმობეჭდილი გააცნო საზოგადოებას ზ. ჭიჭინაძემ 1803 წ., ხოლო მესამე გამოცემა შარშან გამოვიდა. რამდენადაც საინტერესოა ეს წიგნი, იმდენად შეუწყნარებელი შეცდომებით არის გამოცემული. ზოგიერთა შეცდომები შეჰპარვიათ პირველს გამოცემაში უთუოდ დედანის წყალობით, დამატებითი შეცდომები კი კორრექტორის ბრალი უნდა იყოს. პარიჟში მცხოვრებ ქართველებს ადვილად შეუძლიანთ შეამოწმონ ახალი და ძველი გამოცემა პარიჟის ნაციონალურ წიგნთსაცავში შენახულს დედანს და ზოგიერთა შესწორება მაინც მოახდინონ. იმედია ამ შენიშვნას პარიჟელი ქართველები ყურადღებას მიაქცევენ.

ა. ხახანაშვილი.

მოწერილი ამბები. *)

ხმა ამურის ოლქიდან

(შორეული აღმოსავლეთი).

ყველა იმ რუსეთის კუთხიდან, სადაც კი იმყოფება ორი ან სამი გარდახვეწილი ქართველი, ქართულ პრესაში დრო-გამოშვებით იბეჭდება მათი ავ-კარგიანობის და მათი ცხოვრების ჭირ-ვარამის შესახებ ცნობები. ეგევე არ ითქმის იმ ქართველებზედ, რომელთაც ჟამთა ვითარების გამო წილად ხვდა სამშობლოს დაშორება თხუთმეტი ათას ვერსტის მანძილზედ და გადმოხვეწა შორეულ აღმოსავლეთში.

განსაკუთრებითი ყურადღების ღირსნი არიან ამურის ოლქში მცხოვრები ქართველები. ესენი დასახლოვებით „500“-მდე კაცია. ყველანი ერთი და იგივე დანაშაულობისათვის არ არიან აქ გამოგზავნილი. აქ შეხვდებით: პოლიტიკურ გადმოსახლებულებს, სისხლის სამართლით დასჯილებს და თავისი ნებით მოსულს სხვადასხვა მიზნით. რასაკვირველია ეს სამი ჯგუფის ქართველები ცხოვრების სულ სხვადასხვა გზაზედ დადიოდნენ, მათ შორის არ სუფევდა რაიმე შემაერთებელი მიზანი.

სისხლის სამართლით დასჯილების და რამოდენიმე თავისი ნებით მოსულების უზნეო და უკუღმართი მოქმედება, ზიზღს და კრულვას იწვევდა როგორც ადგილობრივ საზოგადოებაში ისე იმ ქართველებში, რომელთაც უზნეო და ავაზაკურ საქმეებთან საერთო არაფერი აქვთ.

რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ არ ყოფილა არც ერთი ავაზაკური საქმე შორეულ აღმოსავლეთში და კერძოთ ამურის ოლქში,

*) იხ. დღევანდელი მეთაური.

რედ.

როგორც მაგ., ფულების გატაცება ხაზინიდან ბანკებიდან, ოქროს მწარმოებლებზედ თავ-დასხმა, კაცის კვლა ფულის გულისათვის და სხ. რომელშიაც აქტიური მონაწილენი და ორგანიზატორები ქართველები არ ყოფილავნენ. ამ ვაჟბატონების მოქმედების წყალობით ადგილობრივ საზოგადოებაში „ქართველს" სახელი გაუტყდა, ყველა ქართველს სამუდამოდ დაეხშოთ კარები სავაჭრო, სამრეწველო და სხვა უწყების სამსახურში შესასვლელათ. ეჭვს გარეშეა, რომ ზემოხსენებული მოქმედება ქართველებისა ძალაუნებურათ მოწინააღმდეგე ბრძოლას იწვევდა როგორც ადგილობრივ საზოგადოების მხრივ ისე ადმინისტრაციის მხრივ, იმ დროს, როდესაც ადმინისტრაცია არ ზოგავდა მათთან საბრძოლველად მკაცრ და სასტიკ საშუალებას. ერთმა ჯგუფმა ქართველებისამ მიმართა დიამეტრალურად საწინააღმდეგო საშუალებას მათ ასალაგმავად. მან გაითვალისწინა ის რომ საჭიროა ქართველების დაწყნარება და მათი გარდაქმნა კეთილ ადამიანებათ შეუძლია არა ადმინისტრაციის თავისი სასტიკ ზომებით არა ერთის ან ორის ქართველს, არამედ მთელს ამურის სამთავრობელოში მცხოვრებ ქართველების შეერთებულ ძალას. ამ პატარა ჯგუფმა სცნო საჭიროდ და შესაძლებლად შექმნა ამურის ოლქში ისეთი იურიდიული ორგანო, რომელიც გავლენას იქონიებდა ყოველ ბოროტ მოქმედზე. ასეთ იურიდიულ ორგანოდ მან სცნო: **„ამურის ოლქის ქართველთა თვითდამხმარებელი საზოგადოება"** რომლის დაარსებას იგი მსწრაფლად შეუდგა. დიდის შრომის შემდეგ ჯგუფმა ეს საქმე დირსეულად დააბოლოვა. მალე ეს საზოგადოება მთავრობის ნებართვით ამურის ოლქში დაარსდა. მის გამგეობა იმყოფება ქ. ბლაგოვეშჩენსკში. საზოგადოებამ უმთავრესად უნდა ძირიანად აღმოფხვრას ყოველივე უსინიდისო და ბარბაროსული მოქმედება, უსაქმოდ ქუჩაში გავარდნილ ბედის მაძიებელ ქართველებს მოუძებნოს სამუშაო და ყოველ კულტურულ საქმეში წინამძღოლობა გაუწიოს აქაურ ქართველობას. ამ დღიდან სხვადასხვა ჯურის ქართველები შეერთდენ და პირნათლად ემსახურებიან ამ კეთილ საქმეს.

ამნაირად ქართველებს ხელ-ახლა გაეხსნა დახშული კარები სხვადასხვა სამსახურში შესასვლელი. ბევრი მათგანი სანატრელი და საჭირო მუშაკნი შეიქმნენ.

ამურის ოლქში მცხოვრებ ქართველების უმთავრეს სახსარს შეადგენს **ვაჭრობა**, რაიც მათ შორის თანდათან ვითარდება და ფეხს იდგამს. ძმ. ქერქაძეები, ძმ. სიმონიშვილები, კუჭავა და სახელია, როგორც წევრნი ზემოხსენებული საზოგადოებისა და ცოტათ თუ ბევრათ შეძლებულნი პირნი არ ზოგავენ თავიანთ ქონებას, ყველა ქართველს, ვისაც შესაფერი უნარი აქვს, სავაჭრო და საიჯარო საქმეს უწყნენ.

აქაური მოიჯარადრეები და ვაჭრები სამინლად ამუშავებენ საზოგადოდ მუშა-ჩინელებს. მათი რიცხვით არა ერთი გამდიდრებულა. დღესაც ოქროს მწარმოებელნი, როგორც მაგ. „ზედა-ამურის ოქროს მწარმოებელთა კომპანია", არ თავიდობენ მათ სხვასთან შეუდარებელ ყვლეფას. მაგრამ ესევე არ ითქმის ქართველ მოვაჭრეებსა და მოიჯარადრეებზე. მუშა ჩინელების შრომას ისინი აფასებენ მეჯარებით სამართლიანად.

მაშინ, როდესაც ვაჭრობა ეკონომიურად მაგრდებოდა, ამ დროს შორეულ აღმოსავლეთის გენერალ-გუბერნატორმა ბ. გონდატიმ რადგან დიდ სახელმწიფოებრივი მოსაზრების გამო გამოსცა ბრძანება, რომ რუსეთის სამფლობელოდან ჩინელები გაძევებულ იქმნენ 1912 წლამდისო. ამას თან დაერთო ჩინეთის ახალი ფართო რევოლიუცია, რომელმაც ყოველი ჩინელი გაიტაცა სამშობლოსკენ.

ეს უკანასკნელი გარემოებანი, რასაკვირველია, იქონიებს გავლენას აქაურ ვაჭრობა-მრეწველობაზე საზოგადოდ და ქართველების ცხოვრებაზე კერძოდ.

მოქმედება „ქართველთა თვით-დამხმარებელ საზოგადოებისა" თავმდები იქნება უეჭველია, რომ ერთხელვე კარგს კალაპოტში ჩაყარდნილი ამურის ოლქის ქართველების ცხოვრება, არ დასტოვებს ამ კალაპოტს. ქართველები თავისი კულტურული ცხოვრებით დაიჭერენ უსათუოდ მალე შესაფერ საპატიო ადგილს ადგილობრივ საზოგადოებაში.

მაშ, ვუსურვოთ ახლად დაარსებულ ნორჩ „ქართველთა თვით-დამხმარებელ საზოგადოებას" წინსვლა, წარმატება, რათა მის კალთის ქვეშ ყველა ამ სიშორეზე გარდმოხვეწილმა ქართველმა იპოვოს მეუდრობა, სულის და გონების საზრდო და სიმშვიდე...

იოსებ შუშანიკაშვილი.

მწყემსი.

(გაგრძელება. იხ. „თემი" № 43)

III.

დიდ-დედა! მითხარ რამე ზღაპარი.
რა ვქნა, რომ გულში სევდა არ ჰქრება?
ახლო დამიჯექ. მიხურე კარი...
— დაჩუმდი ერთი. რა მეზღაპრება.
— დიდ-დედა მითხარ... მითხარ ზღაპარი.
— ოჰ, დაიძინე! დასცხრე იქნება
გული ისე მაქვს ვით ლოდი მკვდარი.
— რა ვქნა დიდ-დედა. არ მეძინება.
მაგრამ შენ შფოთავ და რა გაწუხებს
რისთვის არ მეტყვი? რისთვის არ ამბობ?
— ბავშვო. საცაა ზარი დაჰქუხებს
იქნებ გავიგო. დასცხრი. ნუ ლაყბობ.
განცვიფრებული კვლავ მიაცქერდა
ბავშვი დალვრემილ მოხუცის სახეს
რა უცნაურად გული აძგერდა
დაჩუმდა... მწარე ფიქრთა გაჩარხეს.
არ ეძინება, რადგან გრძნეული
თვალებში სხივს სცემს მაისის მთვარე,
სდუმს არე-მარე... ქანც-მილეული...
სიზმარს დაეძებს კორდი მთელმარე.
მთის ნეტარ ამბავს ჩურჩულებს ნელი
და უზრუნველი სიო კოლხიდის
ბაღს ავსებს ნაზი ყვავილთ სურნელი
და ფიქრი ისევ მოდის და მიდის.
სდგას აკაცია... და სიზმრებშია
გარინდებული მისი სხეული,
ფიქრი იმისი, მაღალ მთებშია,
ფიქრი წყნარი და ფრთა-აწეული.
არ ეძინება, რადგან გრძნეული
გარს ახვევია მაისის ღამე
დიდ-დედაც ფიქრთა ზღვაში ხვეული
სდგას გარინდებით, როგორც მოწამე.
შუა-ღამეა... ბავშვს კვლავ არ სძინავს,
მისჩერებია ცისა ვარსკვლავებს,
ფიქრი სადღაცა მიჰქრის მიფრინავს,
ფიქრი რაღაცას უვალალავებს.
და უცებ ფიქრით მოცულ ჰაერში
ზარმა გრიალით დაიგუგუნა,
შეკრთა დიდ-დედა და როგორც მტვერში
გასვრილმა მწერმა—თავი დაჰღუნა.
შემდეგ წამოხტა და გაექანა,
სიდანაც მკვეთრი მოესმა ზარი
და ამ დროს თითქო მთელი ქვეყანა
იყო საშინლად გასაოცარი.
ბავშვიც წამოხტა და დაედევნა
დიდ-დედას... ჩიტის ფრთებით მიფრინავს
ვერ დაეწია. ამაოდ ევნო.
ნეტარი ცა კი ბრწყინავს და ბრწყინავს.
ცა სიყვარულით განათებული
ღამის სიმშვიდით სოფელს აკვდება,
მაგრამ ვინ არის მთლად ანთებული
სოფლის გზაზე რომ მიინაკვთება?
ვით ჯეირანი ირხევა... სხლტება
შიშით აქა-იქ თვალებს აფეთებს,
თითქო რაღაცას ემუდარება,
ირგვლივ დარაჯად აყუდებულ მთებს.
ნიავი უშლის მხრებზე ნაყარ თმას,
კაბას ლამაზად თეძოებს ახვევს
და შემდეგ თითქო თავისივე ხმას
ისე მოჰყვება ღრმად ჩაყოლილ ხევს.
ნიავი იბრძვის, თუ რისთვის არი
ეგრე წარმტაცი მიმავლის მკერდი
და რად ელვარებს მხრებზე ნაყარი
ხშირი დალალი, როგორც ხავერდი?
განცვიფრებული თვალს მიაყოლებს
მთვარე ობოლი და ვარსკლავთ გუნდი
თითქო ყოველ მის ფეხზე აჟრჟოლებს:
„საით მიდიხარ, საით? დაბრუნდი"!
მაგრამ ის მაინც არ უგდებს ყურს მათ
შიშით მიდის და ნუკრივით კრთება
მიდის და ტუჩთა ნაპრალებს ჩუმად
მხურვალე ლოცვა ეფარფატება:
„ღმერთო, შენ იცი სიმართლე ჩემი
შენ გესმის ფიქრი გულის მრხეველი
შენ დამიმკვიდრე ტკბილი ედემი,
შენვე წამართვი სასუფეველი.
და შენვე გქონდეს ეს ჩემი სული,
ჩემი სხეული ვნებად გაწვდილი...
დღემდის, უფალო, წმინდათ დაცული.
დღეს კი შეცდომით ნამუს-ახდილი"!
და აჰა, ესმის კიდეც მდინარის
გაცხარებული და ყრუ ძახილი.
მაგრამ დაიცა. ჩუ, ეგ ვინ არის
მისკენ რომ მოაქვს ნაბიჯი ფრთხილი?
— მამავ!—შეჰყვირა უეცრად ქალმა,
მითხარ რას დამდევ, რა გსურსო ჩემგან?
— დაიცა შვილო! აბა საწყალმა
ვით მოვითმინო ცუდი რამ რომ სთქვან.
ხედავ ჩემს სხეულს... როგორ ცახცახებს
მას შველა უნდა... მოვლა... პატრონი...
— მამავ, უფალი ხელს არ აგაღებს
— ეჰ, სად აიტანს მოხუცის გონი
ერთად-ერთ შვილის საშინელ სიკვდილს.
ხელს ავლებს მამა,
და გულზე იკრავს ნამუს-ახდილ შვილს.
— მამავ, მამილო—ქვითინებს ქალი,
ხედავ ნუგეშის დამეხშო კარი,
რა ვქნა, რომ ასე დავძრწი მაშვრალი,
რა ვქნა ამიხსენ, რა ვქნა მითხარი.
ირგვლივ ქვებს მარტყმენ..ნამუს-ახდილის
სახელით მნათლავს ირგვლივ მთა-ბარი,
წამართვეს წმინდა ალერსი შვილის
თმებით დამთრევს შეშლილი ქმარი.
— არა უშავს-რა... შენ გაგამართლებს
ხალხი. პატივს სცემს ჩემსა ჭაღარას
— არ მაქვს იმედი. მხოლოდ-და ტალღებს
მივსცემ სიცოცხლის დაძირულ ზარას.
იქ გავიქცევი. სიკვდილის ბინდი
იქ დამიქროლებს ნუგეშის მწვევი ..
— საითკენ გსურდეს გასწი, გაფრინდი.
ღმერთს. ზეციერ ღმერთს სად გაექცევი?
— მამავ! —ქვითინებს ისევე ქალი,
არსით არა სჩანს ნუგეშის კარი,
რა ვქნა რომ ასე დავძრწი მაშვრალი,
რა ვქნა ამიხსენ, რა ვქნა მითხარი.
აი გამოჩნდა კიდეც ტაძარი,
ხალხი ფუსფუსებს, ხალხი ირევა,
ხმაურობაა გულ-შესაზარი,
კაცი კაცზე ზის. არ არის ტევა.
ელენეს ქმარი აქა-იქ დარბის,
გლოვით, ქვითინით ვილაცას ეძებს,
ხან მისუსტდება ძალა იმის ხმის
და უნუგეშოდ ამოიკვნესებს.
მაშინ ის სუნთქვა, რაღაც იდუმალს,
სულიერ ტანჯვას გარშემო ივლებს,
ხან კი მოიკრებს ისევ ისე ძალს
და ხალხს შეკრებილს, მკაცრად დაჰკივლებს:
— ხალხო! იმედის შუქი წამერთო,
წამერთო სხივი ნუგეშის მფენი,
რა დავაშავე, ოჰ, ღმერთო, ღმერთო!
გაასამართლეთ ჩემი შემრცხვენი
ღმერთი არა გწამთ? ხედავთ ჩემს თვალებს
რომ ჩემს დამლახვრელს ხელი არ ახლოთ"?
და ხალხიც ერთხმად ტოკავს, გრიალებს
„გავასამართლოთ, გავასამართლოთ"!
— სჯობს ვაპატიოთ ამბობს ვილაცა
— ოჰ, რაებს ბოდავს ვილაც მოცლილი
ეშმაკის იყო და მოიტაცა,
შეცდომით ქვეყნად გადმოტყორცნილი —
ამბობს მეორე და მას ბანს აძლევს,
ხალხის ხმა ტალღად ამოხეთქილი,
— არა, ჩვენ ისე ვერავინ დაგვძლევს,
რომ ავურიოთ ბოროტ-კეთილი.
— მაშ აი, აქ ვარ, გამასამართლეთ.
მიყავით რაც გსურთ, ერთია ჩემთვის
ყოფნა აღარ მსურს. რაც უნდა აღსდგეთ
ჩემზე, ეს სული მაინც ცას ელტვის".
და ყველამ იცნო ელენეს ხმები,
იცნო და ზიზღით აევსო გული:
„სიკვდილი მაგას... აიღეთ ქვები,
მოჰკალით, მოსპეთ, შეჩვენებული!
უცებ მოისმა ხრიალ-გრიალი,
ქვა-ქვაზე მიდის გამალებული.
და ხალხი რაღაც შავ ფიქრით მთვრალი
უცებ შეჩერდა აზვირთებული.
ჯერ კიდევ ისმის კვნესა სიჩუმის,
ყორედ მიყრილან ერთ ადგილს ქვები
და თითქო შავის ნაღველით იძვრის
იქ ანგელოზი სულის მიმღები.
— ოჰ, სამართალო! ხალხის ბრმა ძალამ
როგორ დაგთრგუნა.. სადა გაქვს ბინა?
ამოიკვნესა საბრალო მამამ
და ყრუდ, მწუხარედ ჩაიქვითინა.
მან იგრძნო მწარე ფიქრები ბრბოსი,
მან იგრძნო ხალხის შავ-ბნელი სევდა
და ისიც იგრძნო რომ ანგელოზი
ცოდვილ სულს სადღაც მიაქანებდა.
— ელენე... ლელი. ნუ თუ არ სჯობდა
სამარადისოდ ქვეყნად არ მეშვა?
...ბრბო უსამართლო განაჩენს გრძნობდა,
ბრბო უსამართლო ქვევით დაეშვა.
სდგას მამა, როგორც ქვის ქანდაკება,
არ იძვრის... სუნთქვა ველარ გაჰბედა.
უცებ მოისმა როგორც განგება,
ბავშვის ქვითინი: „ოჰ, დედა, დედა!
სადა ხარ, სადა; მე გეძებ მარად,
მაგრამ დაავლო უცებ ხელი მხარს
და ეუბნება დიდ-დედა წყნარად:
— წამოდი ბავშვო! მე გეტყვი ზღაპარს.
ზღაპარს იმაზე, თუ როგორ სდევდა
კაცთ არსებობას ცოდვა გრძნეული
იყო. რა იყო... სცხოვრებდა სევდა
ირგვლივ ფიქრებით შემოხვეული.—
მაგრამ ყმაწვილი არ ისმენს მის ხმებს,
არ შეუძლია. ბევრჯელა სცადა...
— იყო. და მოჰყვა უსაზღვრო ზღაპრებს
ძველი ქართველი შეჰერაზადა.
— სად არის დედა? კითხულობს ბავშვი.
— დაიცა, კარგად დამიგდე ყური.
— მე დედასთან მსურს ეხლა თამაში
შორს გადაჰკარგეს დედა უძლური...
უსამართლონი... არ შეგიბრალეს
ჯერ ისევ ნორჩი და უსუსური.
გულში დაგუბულს—ნაღველში ნაღეს
ზღაპარს მოვჰყვები. დამიგდე ყური!

IV.

აღელვებული ჩამოვჯექ ქვაზე,
შავმა ფიქრებმა შთანთქეს მაშვრალი,
იქ კი, სახლისკენ მომავალ გზაზე
ზღაპარს ამბობდა მოხუცი ქალი.
— იყო...—მაგრამ აქ შევკრთი უეცრად
გვერდით მომიჯდა უცხო ვილაცა,
იმისმა სახის შეხედვამ ცეცხლად
ჟრჟოლით ამილო და ამიტაცა.
— ვინა ხარ?—ვკითხე და თვით ჩემი ხმა
შიშით ავიღე, თითქო ვჭურდობდი.
— მე? ვერ მიცანი? მსურს აქ, შენთან თქმა
ყველა იმისი, თუ რასაც ვგრძნობდი.
— ახ, შენ მწყემსი ხარ, გიცან. გიცანი.
გულის ტკივილი მე მესმის შენი.
— არა, სულ სხვაა ჩემი მიზანი,
მე არც მწყემსი ვარ, გრწამდეს, იგრძენი.
ელენე მოჰკლეს და მსურს მხოლოდ შენ
გამოგიმჟღავნო მისი ამბავი.
— ახ, კარგად ვიცი მეორედ მოჰკვლენ
იმავ სიყვარულს... დაუნახავი.
ცეცხლი გააქრობს ხსოვნას იმისას ..
რისთვის სცოცხლობდა, ან ელტვოდა რას?
პირველი იყო ეგ სიყვარული?
— არა, მეორე. პირველი სრული
სულ არ ყოფილა... ის სევდიანად,
მე მაშუქებდა, თვით არ ვიცი რად,
ფიქრში მახრჩობდა ტანჯვათა ხევი.
— მე ყურს დაგიგდებ. აბა მოჰყევი.
ნურას დაჰფარავ, მე ვხედავ, რომ შენ
ბევრჯერ გიგრძნია ტანჯვათა ზვავი,
მაგ შენს სახეზე, მითხარ, ამიხსენ
ზიზღი რად სცურავს დაუფარავი?
მოსული შეჰკრთა და უეცრად მეც
რაღაც უცნობი ადმენთო გრძნობა.
— დავჰკარგე რწმენა, იმედი, სიმხნეც. —
ასე დაიწყო თავის მოთხრობა. —
ეჰ, ნულარ გიკვირს, რომ გრძნობის მკვდარი
გარს მახვევია ბნელი სუდარი,
ვერსად ვერ ვპოვე შვების ნექტარი,
ვერსად ვერ ვპოვე ნავთ-საყუდარი.
მიჩვენე მხარე, სად არ ვყოფილვარ,
მითხარი რამე, რა არ მსმენია,
მაგრამ შემხედე ეხლა, ოჰ, ვინ ვარ,
ან წარსულის რამ თუ შემრჩენია.
ბავშვი ვიყავი, მაგრამ ვიცოდი
რას დაეძებდა მთებში მანფრედი,
მეც მასთან ერთად ვკრთოდი და ვთრთოდი,
მეც მასთან ერთად ვფრენდი და ვფრენდი.
ვიცნობდი ფაუსტს. ისიც ვიცოდი
რად შეეჩვია მკაცრ მეფისტოფელს,
გატაცებული სოფელს განვშორდი,
გატაცებული განვშორდი სოფელს.
ეჰ, ჩემო კარგო, ხსოვნას თან დააქვს
დამჭკნართა გრძნობათ ნაზი სურნელი,
განუკურნელი სევდა თან ახლავს,
სევდა თან ახლავს განუკურნელი.
ოჰ, ჩემო კარგო, ბევრჯერ, მრავალჯერ
მომაგონდება დრო სანეტარო,
როცა მეტყოდნენ: რა მშვენივრად სწერ!
როცა მეტყოდნენ: უკვდავი ხარო.
ხელოვნების წინ წმინდა ცრემლს ვღვრიდი
რაღაც უცნაურს ვგრძნობდი სიამეს,
მრწამდა დიდებულ რასმეს შევქმნიდი.
მჯეროდა უკვდავს შევქმნიდი რამეს.
მაგრამ დაიხრწნა ნეტარი ქსელი,
ჩემთა ოცნებათ, მე რომ შიგ ვხვევდი,
თურმე უბრალო იყო სანთელი,
ტიტანიურ ალს მე რომ ვარქმევდი.
ეჰ, ჩემო კარგო, ხსოვნას თან დააქვს
დამჭკნართა გრძნობათ ნაზი სურნელი,
განუკურნელი სევდა თან ახლავს,
სევდა თან ახლავს განუკურნელი.
მომიკვდა მამა. ზედ დავაფარე
მოწყენილობის უძრავი ლოდი,
არავინ მყავდა მე იმის გარე
ქვეყნად რომ ვისმეს შევთვისებოდი.
მარტოობის შვილს ბევრჯერ მინახავს
სევდის აჩრდილი დამამხობელი,
მაშინ კარგად ვგრძნობ, რომ არავინ მყავს,
რომ თავის გერად მიცნობს სოფელი.
შავის ფიქრებით გატაცებული
მივადექ ერთხელ ტურფად შემკულ ბაღს
მთვარე ფერ-მკრთალი, ფერ-დაკლებული
ვერცხლის სხივებით მოსავდა ბალახს,
უხილავ ხელით ჩარიგებული
მორცხვად ართოლავდა ვარსკლავთა
მწკრივი,
ქვეყნად კი იყო გამეფებული
სიმშვიდე წყნარი და ღვთაებრივი.
ყვავილთა სუნი ეშხით დნებოდა
მზის უნახავი იხსნიდა ღილებს
და ნაზი ძილი ეპარებოდა
ქვევით თავ-დახრილ ქლივრის ხეხილებს
ბაღი მდუმარე, გარინდებული
მთლად შეებოჭა ვნებათა ჯადოს.
ღამე მირხევდა, ღამე გრძნეული
ფიქრ უკვდავს, მარტივს და სამარადოს,
რომ სიყვარული არის მოკვდავთა
ძალა აღმგზნები და შემაერთი,
რომ სიყვარული არის აქ კაცთა
მსაზრდოებელი ძლიერი ღმერთი
მე კი სიყვარულს ვერ მივსწდომოდი,
მე ჯერ არავინ არ მყვარებოდა.
ღამე კი თრთოდა და მეც თან ვთრთოდი,
სიმშვიდე გრძნობას ეკარგებოდა.
და სწორედ ამ დროს მე დავინახე
შადრევნის იქით ქალის აჩრდილი,
სავსე და ნაზი შვენოდა სახე
იდგა მაღალი, ჩადრ-გადახდილი
შადრევნის სრიალს გადასცქეროდა
და გულ-დამთუთქველ სევდით მღეროდა:

ცელქი ნაკადი
ნორჩ ყვავილს მკერდს ბანს,
ჰკრებს ცის ლაჟვარდი
ფიქრთა შადრევანს.
ორნი ვართ ველად
ხის ქვეშ დამსხდარი
და მიმზიდველად
გვცემს ვნების ქარი

* *
*

ოდეს სიო მთის
არხევს შენს დალალს,
სთქვი, სევდა რისთვის
დაგციმციმებს თვალს?
სცოცხლობ და სხვებში
ვერ ვპოვებ შენს ცალს,
მოჰკვდები—მკერდში
ჩავიგებ ხანჯალს!

* *
*

მტანჯავდა სევდა
დამწველ-მდაგველი,
ნაღველი მლევდა
მწარე ნაღველი.
აწ ამოგვილონ
გრძნობა თანდათან,
რაც სურთ ის გვიყონ,
რაც სურთ ისა სთქვან!

იგი დადუმდა: წკრიალა ხმაში
ჩაჰკვოა სიმღერა გასაოცარი,
ნიავმაც უცებ იწყო თამაში,
უცებ ატოკდა ბუნების ქნარი.
ატოკდა გულიც. ატოკდა ვნება,
მაგრამ არ დასცხრა ნაღველი მწვავე,
ატოკდა ნაზი სევდის ოცნება
ერთხელ სადღაც რომ დავასაფლავე:
შორს, ჰორიზონტზე შუქთ გუნდი გაჰქრა
ზანთიადისა ოცნებამ დაჰკრა.
მე გავიფიქრე რომ ეს შემთხვევაც
მალე გადივლის ვით ტალღა მწვანე
და მე გავჰყვები ჩემს მოწყენილ გზას,
ვით ზღვის უდაბნო—მეიალქანე.
და გავიფიქრე: ოჰ, ზენაარო
რისთვის ატოკებ ჩემს სულს დანახუთს?
დაე, ობლად და მარტო ვიარო,
არ დავუტევებ შემთხვევას ამ წუთს.
სული შფოთავდა... გავექანე თან
მივუახლოვდი ასულს... იქ თავს ვსდებ
და წყნარად ვუთხარ: რაც სურთ ისა
სთქვან,
მე შენ მიყვარხარ, მე შენ გაღმერთებ.
იგი კი იდგა როგორც ფრინველი,
ასპიტის ცქერით გარინდებული,
ვერ მოვითმინე და ზვირთი ცხელი
ძირს გადმოინთხა ცეცხლად ნთებული.
მსურდა წარსულის შავ სიცოცხლისთვის
ამ ნეტარ წუთში გზა დამელოცნა
და გაგიჟებით, არ ვიცი რისთვის
ქალს ვუწყე კოცნა... მხურვალე კოცნა
ღიმილი მწველი და დამცინველი
სადღაც შევნიშნე ცეცხლად გზნებული,
ის კი კვლავ იდგა როგორც ფრინველი
ასპიტის ცქერით გარინდებული.
თენდება.—მითხარ სიდან მოსულხარ,
მკითხავდა ქალი—ვინ ხარ, საიდან.
მე კი ვჩურჩულებ:—ქალო ნუ სწუხარ.
ვერ გეტყვი, ვერა... რაც სურთ, ისა სთქვან.
— როგორ? ვერ მეტყვი? მაშ როგორ
ბედავ
უცნობს მომვარდე. რა ჰქენი, ვაჰმე
— მე ამის შემდეგ ველარ შემხედავ,
მაშ მომიტევე ეგ სითამამე.
— ველარ შეგხედავ? ვინ ხარ ეგეთი?
— ვინც უნდა ვიყვე. მაგრამ ზეცით ღმერთს
ჩემს გზად უქმნია ზღვა და ხმელეთი,
ხან ედემს მირგავს. ხან კი ჯოჯოხეთს.
— ვინ ხარ არ ამბობ. საით მიდიხარ,
ან რომელ მხარეს ეგ მაინცა სთქვი;
სად ჰპოვებ სითბოს, ან ვისთან, მითხარ!
— ამაოდ სცდილობ. ვერა, ვერ გეტყვი.
— ვერ მეტყვი?—და ის კვლავ მომაცქერდა
გაჩუმდა ფიქრში. თავი დაჰხარა,
ქვიშაზე ტოტით რაღაცას სწერდა,
შემდეგ შეჰკრთა და... გადიხარხარა.
— ოჰ, გიცნობ. გიცნობ, შენ ის არა
ხარ
ქვეყნად რომ ცალად დაეხეტები,
არავინ გიყვარს, არვის უყვარხარ
და უიმედო ფიქრებში ჰკვდები.
შენ გსურს ალერსი... გწყურია ტრფობა?
ოჰ, ბედნიერად რა ვქნა, რომ ვერ გხდი
ჰა ჩემი მკერდი და მეგობრობა.
ნუ გაიფიქრებ, რომ ჩემშიც შესცდი".
მე ის მკოცნიდა. მკოცნიდა ვნებით,
ეხლა ვიგონებ ამას ღმერთმანი,
რომ რაღაც მწარე თავ-დავიწყებით
დასჩურჩულებდა ბაღს შადრევანი.
— შენი სახელი? შვენებავ, ვინ ხარ,
ვკითხე ჩემს უცებ აღმოჩენილ მზეს.
— ჩემი სახელი? შენ, რად არ მითხარ...
ელენე... გრწამდეს.. არ დაგავიწყდეს...
ის მე განმშორდა და განვშორდი მეც
რაღაც ბუნდოვან ქსელში თავს ვგრძნობდი
გამოვეთხოვე და ფიცი მივეც,
რომ არას დროს კვლავ არ შევხვედროდი,
გზაზე ვფიქრობდი: შეუპოვარი
მეგონა თავი, ვის რაღა ვუთხრა?
დავასაჩუქრა როგორც მთხოვარი,
რათ არ გრცხვენია, დავასაჩუქრა.
ვინ იცის მის გულს რა ცეცხლი ღრღნიდა
ცის ვარსკვლავივით ოდნავ მშუქარი,
ვინ იცის, როგორ ბრძოლად ულირდა
ეგ მოწყალება, ეგ საჩუქარი?

(შემდეგი იქნება)

გ. ტაბიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

კბილის ექიმი
ნინა გ. ხელაძე
იღებს ავათმყოფებს დილის 9 ს.—2-მდე. საღამოს 5 ს.—7-მდე. ღარიბებს და უმუშევრებს ხელმისაწვდენ ფასებში.
ანდრეევის ქუჩა სახლი № 36.

ექიმი
გ. ფ. ნათიშვილი
სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.
დილით 11 ნახ. ს.—1 ს. საღამ. 7—8 ს.
ადრესი. მონუმენტის შესახვევი № 5. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ტელეფონი 487.

ექიმი
ა. არდაზიანი
შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობა სპეციალობა: ფილტვების სნეულება, სისხლნაკლულობა. რევმატიზმი (ქარები)
დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 საათ.
კვირაობით მარტო დილით 9—1 ს.
თბილისი, ალექსანდრეს ქუჩა, № 3.

ვკისრულობ
ყოველ-გვარ ტეხნიკურ სამუშაოს: შენობის პლანის შედგენას, შავად შედგენილ პროექტების გათეთრებას, შენობის აგების დროს ზედამხედველობას და სხვ. ვასწავლი აგრეთვე გერმანულ ენას.
სტუდენტი მანჰეიმის პოლიტეხნიკუმისა—**ზაქარია სტეფანეს ძე ბიჭაშვილი.**
მისამართი: „კავკასიის საკანდიტრო",—„თბილისის კრუჟოკის" ქვეშ, გოლოვინის პროსპექტი, საღამოს 4—7 საათამდინ.

ნომ „მუხრანი" რები
ქალაქის შუაგულში, **გოლოვინის პროსპ., მანთაშოვის სახლში,**
ახლად გადაკეთებული და კარგად მოწყობილი მეოჯახეებისათვის. ნომრები 80 კაპ.—5 მანეთამდე დღე და ღამეში. თვეობით 15 მ.—80 მანეთამდე. ბევრი ფანჯრები ქუჩისკენ არის. არის ოთახები, რომლის აივნები ქუჩას დაჰყურებენ. სამხედრო პირებს უთმობენ. ცხელი და ცივი ვანები. ელექტრონის სინათლე. **ტელეფონი № 499.**

სალიანის თევზის მოვაჭრეთ და მრეწველთ
ძმ. ძეგველოვების
მაღაზია
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 9. ტელეფონი № 712
ახალ-ახალი
ზუთხი (ოსეტრინა) და ტარაღანა (სევრიუგა). ყოველ დღე
ცხელი დოში
საუკეთესო „პაიუსნი" **ხიზილალა,** გირვანქა 1 მ. 40 კ. აგრეთვე მიღებულია საუკეთესო ღირსების **„სელიოდკები"** სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა. ნამდვილი ზურგიელი. მიღებულია ამურის წითელი ხიზილალა, ნამდვილი სალიანის შამაიები, აგრეთვე აჩუევის დონის „რიბეცები".

გამოვა 1911 **წ. საყმაწვილო ჟურნალი**
ნაკადული
წელიწადი მეშვიდე
ხელის მოწერა მიიღება ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში. გოლოვინის პროსპექტზე ზუბალაშვილის სახლში № 8. და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში, თავ.-აზნ. ქარვასლა)
1911 წლის 1-ლ იანვრიდან 1912 წლის 1-ლ იანვრამდე. წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: **24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული" მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული" მოზრდილთათვის. **36** სურათი, რომელიც ნაკადულის წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ჯეჯილი
ოცდა მეორე წელიწადი
მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.
გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში ეღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 4 მან. ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კაპ.
ფოსტის ადრესი: Въ Тифл. въ Редакц. Грузинскаго дѣтск. жур. „Джеджили".